# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 11 აგვისტო 1995 № 48 (186) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი

## ბოტევი — დინამო 1:0
## ვარდარი — სამტრედია 1:0

თასების თასზე „ბათუმმა“ „ობილიცთან“ წუხელ გვიან ღამით ითამაშა.

საპასუხო თამაშები საქართველოში 22 და 24 აგვისტოს გაიმართება

იხილეთ მეორე გვერდი





## ჯონათან ედვარდსი – 18.29!

მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატის ამბები იხ. მე-8 გვერდზე

**ბათუმის სტადიონის რეკონსტრუქციას, სადაც საპასუხო მატჩს სამტრედიელებიც გამართავენ, თვით ასლან აბაშიძე მეთვალყურეობს**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



### საქართველოს ჩემპიონატი

2-ე ტური 9 აგვისტო

იბერია — მეტალურგი 1:2

სიონი — კოლხეთი 0:2

ეგრისი — მარგვეთი 0:2

კახეთი — ტორპედო 0:2

გურია — ზუგდიდი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| მეტალურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| შევარდენი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-3 | 3 |
| მარგვეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| ზუგდიდი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| დილა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| გურია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| იბერია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| ეგრისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| სიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| კახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| დურუჯი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |
| დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| სამტრედია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |

შევარდენი — დილა. უტევს გორელი ზურაბ ხორგუაშვილი

გია ახალაძის ფოტო

იხილეთ მესამე გვერდი

# ცუდი და კარგი 0:1

## „ბოტევი“ (პლოვდივი) — „დინამო“ (თბილისი) 1:0

**დინამო:** ზოიძე, კობიაშვილი, მაჭავარიანი, დიდავა, დემეტრაძე (კალაძე), კინაძე, გოგიჩაიშვილი, ცქიტიშვილი, კაჭარავა, ხომერიკი, გახოკიძე (ცაავა)

მოხდა ისე, რომ ჩვენი გუნდების პირველ ევროსათასო მატჩებს „სარბიელის“ კორესპონდენტები ვერ დაესწრნენ და დღევანდელ ნომერში ტელე თუ რადიო რეპორტაჟებით მიღებული შთაბეჭდილებებით დაჯერება გვიწევს, ოღონდ „ბოტევი“ - „დინამოს“ მატჩის შედარებით სრული სურათის წარმოსაჩენად აზრი დინამოელ ფეხბურთელებსა და მათს ხელმძღვანელებს დავეკითხეთ. საკუთარი თვალითა და ყურით ნანახ-გაგონილმა კი მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილება დაგვიტოვა, რადგან ჩვენი მეტოქე არ ჩანდა ის გუნდი, ფაქტიურად, ულაპარაკოდ რომ დაამარცხა „დინამო“ და თანაც რამდენჯერმე ჩვენებს აშკარად გაუღიმა ბედმა. დინამოელები მეტად ქაოსურად, უსისტემოდ თამაშობდნენ, მათს თამაშში აბსოლუტურად არ იგრძნობოდა გამარჯვების სურვილი და ჟინი. რალაცნაირად შეშინებულიც ჩანდნენ და მეტოქის კარის მისადგომებთან კი არა, მინდვრის შუაგულშივე იბნეოდნენ და კარგავდნენ ბურთს, რითაც დაუყოვნებლივ სარგებლობდა მეტოქე და შეტევებს მწვავე კონტრშეტევებსაც მოაყოლებდა ხოლმე. ახლა იმ დინამოელებსაც ვკითხოთ, ვინც ამ მატჩში მონაწილეობდა. „დინამოს“ ოფიციალურ მატჩში დებიუტანტობა ლევან ხომერიკს სწორედ უეფას თასზე მოუწია. ბათუმში მოთამაშე ხომერიკმა ადრე სამი გოლიც კი გაუტანა ამჟამინდელ თანაგუნდელებს, შინ თუ გარეთ გამართულ საკონტროლო მატჩებშიც გამოიჩინა თავი, „ბოტევის“ კარის აღება კი ვერაფრით შეძლო, თუმცა...

— მქონდა ერთი ნაღდი საგოლე მომენტი, მაგრამ ფეხი დამისხლტა და ვერ დავარტყი ხეირიანად. ეს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მოხდა, როცა ანგარიში 0:0 იყო და ვინ იცის, რომ გამეტანა, როგორ წავიდოდა თამაში.

**— ტელე და რადიორეპორტაჟების მიხედვით, მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო...**

— პირველი ტაიმის პირველი თხუთმეტი-ოცი წუთი ჩვენი კარნახით წარიმა-



ლევან ხომერიკი

რთა, ვუტევდით, თამაშიც წაგვივიდა. მერე კი, არ ვიცი, რა მოგვივიდა, ინიციატივა მეტოქეს გადავულოცეთ და ყველაფერი მოიშალა. ეტყობა, ისინი ფიზიკურად უკეთ იყვნენ მზად. შესვენებაზე ყიფიანმა მეტოქის შეცდომაზე მოგვითითა და გვითხრა, ჯერ დაკარგული არაფერია, ისე ითამაშეთ, თითქოს ანგარიში 0:0 იყოსო. მეორე ტაიმიც კარგად დავიწყეთ, მაგრამ მერე ისევ გამოგველია ძალა თუ რა იყო, მეტოქემ ისევ გვაჯობა.

**— რით ახსნიდი დინამოელთა ასეთ სუსტ თამაშს?**

— ამას ბევრი მიზეზი აქვს. გუნდი ახალი შეკრებილია და საკმაოდ მცირე ოდენობის მატჩები გვქონდა ერთად ნათამაშები საიმისოდ, რომ ასეთ საპასუხისმგებლო თამაშს სრულ მზადყოფნაში შევხვედროდით. აშკარად იგრძნობოდა შეუთამაშებლობა. მე მგონი, ფიზიკურადაც ვერ ვართ სათანადო დონეზე, ყოველ შემთხვევაში, მეტოქემ ამაში ძალიან დაგვჯაბნა. ალბათ უკეთესი იქნებოდა, ამ შეხვედრამდე ერთი-ორი მატჩი გვეთამაშა ეროვნულ ჩემპიონატში. მაშინ ალბათ ასე უსუსურნი არ გამოვჩნდებოდით...

**— ყველაზე უფრო გუნდის რომელ რგოლს გაუჭირდა?**

— მეკარე ზოიძის გარდა ყველა რგოლს უჭირდა. ჩვენს თავზეც ვიტყვი: ვერც მე და კაჭარავამ ვითამაშეთ ხეირიანად. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ ჩვენი, თავდამსხმელთა სუსტი თამაში გარკვეულწილად ნახევარდაცვის უსუსურობამაც გამოიწვია. ნახევარდაცვა ყველაზე სუსტი რგოლი იყო ამ თამაშში და ფეხში ხეირიანი პასი, საგოლეს ვინღა ჩივის, ერთხელაც არ მიგვიღია — ყველა ბურთის მიღება ჭიდაობაში და ბრძოლაში გვიწევდა. არადა, საწვრთნელ შეკრებაზე ყველაფერი რიგზე იყო და ნახევარდაცვაც კარგად მუშაობდა. ეს კი, პირველ რიგში, გიორგი კილასონიას გუნდში ყოფნით იყო გამოწვეული. ეს გამოცდილი ნახევარმცველი კრავდა ჩვენს შუა ხაზს და ყველაფერს თავის ადგილზე ალაგებენ. მან დარტყმაც იცის, საგოლე პასიც და თამაშის გაძღოლაც, მაგრამ, მოგეხსენებდა, იგი მოულოდნელად სანკტ-პეტერბურგში გაემგზავრა. მოკლედ, ჩემი აზრით, ბულგარეთში თუნდაც გიორგი კილასონია რომ გვყოლოდა, არ წავაგებდით ამ მატჩს.

**— ზემოთ ზოიძის კარგი თამაში ახსენე...**

— ირაკლიმ ბრწყინვალედ ითამაშა და მხოლოდ 0:1 რომ წავაგეთ, სწორედ მისი დამსახურებაა. გაშვებული გოლიც ჩვენი ბრალია და არა მისი. ერთ-ერთი შეტევისას, ფაქტიურად, პირველი ტაიმის უკანასკნელ წამებზე ბულგარელებმა ძლიერად დაარტყეს, ზოიძემ ბურთი მოიგერია, მცველთაგან კი ვერავინ დააზღვია იგი და გეროვის განმეორებით დარტყმას გოლი მოჰყვა. შესვენებაზე 0:0-ის ნაცვლად 0:1 წავედით და ამანაც ძალზე იმოქმედა.

**— ნუთუ „ბოტევი“ ის გუნდია, „დინამომ“ რომ ვერ დაამარცხოს?**

— რა თქმა უნდა, არა, უბრალოდ, იმ თამაშში ჩანდა, თითქოს ჩვენზე გაცილებით ძლიერი იყო, მაგრამ ეს მეტოქის დამსახურება კი არა, ჩვენი უნიათობის შედეგი უფროა, ამიტომაც განმეორებითი მატჩისთვის მე იმედიანად ვარ განწყობილი. შინ, საკუთარი კედლებისა და მაყურებლის თვალწინ უფრო მეტი პასუხისმგებლობით ვითამაშებთ, მწვრთნელიც თავის სიტყვას იტყვის, მანამდე ჩემპიონატის ერთ-ორ თამაშსაც ჩავატარებთ, გოლებსაც გავიტანთ და, ვფიქრობთ, გადავლახავთ ბულგარულ ბარიერს.

**— კიდევ რა არის საჭირო ამ წინაღობის დასაძლევად?**

— აუცილებელია სიახლე ნახევარდაცვაში. ვიღაც თუ არ დავიმატეთ შუა ხაზში, უეჭველად დავმარცხდებით. რამდენადაც ვიცი, ერთი-ორი ახალი ფეხბურთელი დაგვემატება.

**— შენ საკუთარი თავი კრიტიკულად შეაფასე. შენი ცუდი თამაში ტრავმამაც ხომ არ გამოიწვია, „ბათუმში“ რომ გაწუხებდა?**

— არა, წელის ტრავმაც მოვირჩინე და ქუსლისაც, ახლა აღარას ვუჩივი და ძალიან მინდა ჩვენს ეროვნულ სტადიონზე 22 აგვისტოს ჩემი პირველი საერთაშორისო გოლიც გავიტანო...

...„დინამოს“ კიდევ ერთმა „ახალწვეულმა“, კახი გოგიჩაიშვილმა მისთვის უჩვეულო ამპლუაში, მარჯვენა მცველად ითამაშა.

— ლობჟანიძის დისკვალიფიკაციის, ბერაძის გადასვლის და სხვა მიზეზთა გამო „დინამოში“ მცველთა დეფიციტი შეიქმნა და იძულებული გავხდი გუნდის ინტერესების გამო მარჯვენა მცველად მეთამაშა. ჩემი აზრით, ურიგოდ არ მითამაშია, თუმცა მეტოქეთა აქტიურობის გამო ძირითადად დაცვით ვიყავი დაკავებული და შეტევებისთვის ვეღარ ვიცლიდი.

**— მეტოქემ როგორი შთაბეჭდილება დატოვა?**

— დიდი ვერაფერი, გამოცდილი თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ ერთადერთი ენთუზიაზმისა და ჟინის ხარჯზე თამაშობდნენ. თუმცა ამ თამაშში რა თქმა უნდა, ულაპარაკოდ გვაჯობეს. შეუთამაშებლობამ არ მოგვცა საშუალება, გაგვეხორციელებინა ჩვენი გეგმა. თუმცა, ჩემი დაკვირვებით, მეტოქის ყველაზე სუსტი რგოლი მაინც დაცვის ხაზია. ერთი შეხედვით, ჯანიანი და ათლეტური მცველები კი ჩანან, მაგრამ ტექნიკურად მოიკოჭლებენ და როგორც კი პატარა სისწრაფეს მოვუმატეთ, დაბნევა შევატყვე. რა თქმა უნდა, თბილისში სულ სხვა თამაში წავა და თუ ჩვენ მეტოქეს სწრაფ ტემპს შევთავაზებთ და ნაწილობრივ მაინც განვახორციელებთ ჩანაფიქრს, მათი დაცვის სისუსტეც გამოჩნდება და ბევრი ჩვენთვის სახეიროც. თანაც, ლობჟანიძეც დაგვემატება, რაც დაცვას გააძლიერებს და მეც ალბათ შუახაზში წავიწევ. მოკლედ, 22 აგვისტოს მატჩისთვის მეტად იმედიანად ვარ განწყობილი.

**— დინამოელთაგან ვინ შეიძლება გამოიყოს ზოიძის გარდა?**

— ზოიძე მართლაც მატჩის გმირი იყო, ბევრჯერ გადაგვარჩინა. მის გარდა ალბათ მაჭავარიანის გამოყოფაც შეიძლება, რომელმაც ასევე საიმედოდ ითამაშა და ბევრჯერ განმუხტა დაძაბული მდგომარეობა..

**— ჩვენი შუახაზის სისუსტე კიდევ რითი აიხსნება?**

— რაც უნდა იყოს, მაინც ახალგაზრდა ბიჭები არიან. ძნელია, ასე უცებ შეთამაშებაც მოსთხოვო და შედეგიც. განა სასაცილო არ არის, რომ მე, 27 წლის და ზოიძე, ჩემზე ერთი წლით უმცროსი, ვეტერანებად ვითვლებით? ვიმეორებ, გუნდის შეთამაშებას დრო უნდა, თუმცა „ბოტევი“ ამ გუნდითაც არ მიმაჩნია დაუძლეველ წინააღმდეგობად. ვფიქრობ, შევძლებთ მომდევნო წრეში გასვლას.

**— გოლი ლოგიკური იყო ჩვენს კარში?**

— გოლი ცოტა კურიოზულად კი გავიდა პირველი ტაიმის ბოლოს, მაგრამ საერთოდ, ვფიქრობ, ლოგიკური იყო, ისევე, როგორც ჩვენი დამარცხება ამ მატჩში.

„დინამოს“ ტექნიკური დირექტორი ვაჟა ჟვანია კიდევ უფრო კრიტიკულად აფასებს ჩვენების თამაშს:

— მხოლოდ ჩვენს იღბალს, ზოიძის ოსტატობას და მაჭავარიანის კარგ თამაშს უნდა მივაწეროთ, რომ უფრო დიდი ანგარიშით არ წავაგეთ. ჩემი აზრით, „ბოტევი“ ძალზე სუსტი გუნდია. თამაშის წინ მათი ხელმძღვანელები და გულშემატკივრები დარწმუნებული იყვნენ „დინამოს“ წარმატებაში, რაკილა ბოლო ხანს „ბოტევს“ ფინანსურად ძალზე გასჭირვებია და გუნდი დაშლის პირას მისულა. მათი საუკეთესო მოთამაშე სირაკოვიც დისკვალიფიცირებული იყო და ესეც ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს, მაგრამ ჩვენებმა ძალზე სუსტად ითამაშეს, ამ თამაშით ევროთასებზე კი არა, საშინაო ჩემპიონატებშიც გაგვიჭირდება.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— სამისოდ ასეთი პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ: მარტო მწვრთნელი ან გუნდი არ არის დამნაშავე. აქ ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა იტვიროთოს. სხვანაირად არ გამოვა. აქ საერთო საქმეზეა საუბარი — „დინამო“ ხომ მარტო ჩვენი გუნდი არ არის, იგი მთელი საქართველოსია, ამიტომაც პასუხისმგებლობაც მთელი ქვეყნის წინაშეც უნდა ვიკისროთ. გარდა ამისა, სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებაც მხარში გვიდგას, მოკლედ, გუნდის წარუმატებლობა ყველა ჩვენგანის ბრალი იქნება. არადა, ამის რეალური საფრთხე არსებობს.

**— ამიტომაც გკითხეთ გამოსავალზე...**

— ვიმეორებ, ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა იტვირთოს. „დინამომ“ სუსტად კი ითამაშა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საშინაო მატჩსაც ასევე ჩაატარებს — პოტენციაა გუნდს უდავოდ აქვს, მხოლოდ მისი ამოქმედებაა საჭირო. „ბოტევი“ სუსტი გუნდია-მეთქი, ვთქვი და მისი გამარჯვება ჩვენმა ცუდად თამაშმა განაპირობა. ბულგარელთა ძლიერი მხარე მე ვერ დავინახე.

**— მის წარმატებაში ალბათ გულშემატკივარმაც შეიტანა წვლილი...**

— რა თქმა უნდა. სტადიონი 30-ათასიანი კი აქვთ, მაგრამ თამაშზე ათი ათასამდე კაცი მოვიდა, რომლებიც მხურვალედ ქომაგობდნენ გუნდს. ჩვენი ახალგაზრდა ბიჭებისთვის კი ქართველი გულშემატკივრის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ექნება. ის კი არა, გარკვეულწილად შეიძლება გადამწყვეტი როლიც ითამაშოს. ამიტომ, მთელი გუნდის სახელით ვთხოვთ გულშემატკივრებს, მოვიდნენ და მხარი დაგვიჭირონ, „დინამოს“ თქვენი მხარდაჭერა ახლა ისე სჭირდება, როგორც არასდროს.



კახი გოგიჩაიშვილი

თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია აეროპორტში გასვლის წინ მოვიხელთე...

**— რამ გამოიწვია თქვენი ასე მოულოდნელი გამგზავრება?**

— ლონდონს, იქიდან კი მანჩესტერს მივფრინავთ მე და ქინქლაძე, „სიტიდან“ გვაცნობეს, რომ ჩვენი იქ სასწრაფოდ ჩასვლაა აუცილებელი, კიდევ რაღაც ფორმალური საკითხია მოსაგვარებელი. ამ საქმის მოთავების შემდეგ კი ლონდონიდან კოპენჰაგენს უნდა გავფრინდე, რათა „ბრონდბიუს“ ხელმძღვანელობას შევხვდე და გოჩა ჯამარაულის კონტრაქტზე შევთანხმდეთ. დანიაში ჩემპიონატი კი დაიწყო, მაგრამ ტრანსფერების ვადა 15 აგვისტომდე ყოფილა. „ბრონდბიუს“ ხელმძღვანელობას ჯამარაულის შეძენა ძალიან სდომებია, გაუგიათ, რომ გოჩას საზარდული აწუხებს და შემოგვითვალეს, აქ ჩამოგვიყვანეთ, ოპერაციასაც ჩვენვე გავუკეთებთ და მივხედავთ კიდეცო.

**— ახლახან ისიც თქვით, რომ გელა ინალიშვილიც დანიაში მიემგზავრება „კოპენჰაგენში“ სათამაშოდო.**

— ინალიშვილის საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. იგი იმ კლუბში მიემგზავრებოდა, ჩვენ რომ უნდა შეგვხვედროდა „ლინფილდის“ დამარცხების შემდეგ, მაგრამ გელა დაოჯახდა და ამის გამო დანიაში წასვლა გადადო. ამასობაში დანიელებმა შემოუთვალეს, შენს ადგილზე უკვე ავიყვანეთ უცხოელი ფეხბურთელიო. გელა მაინც გაფრინდა მოსკოვს, რათა იქიდან კოპენჰაგენს ჩაფრენილიყო. დანიის დედაქალაქში ამ ამბავსაც გავარკვევ. ერთ კვირაში დავბრუნდები და სამივე ფეხბურთელის ამბავს დაწვრილებით მოგახსენებთ.

**— ახლა ჩვენს შინაურ საქმეებზეც ვთქვათ. „დინამოს“ ცუდმა თამაშმა გულშემატკივრებს საფიქრალი გაუჩინა...**

— დინამოს“ თამაშით მეც შეშფოთებული გახლავართ. მართალი გითხრათ, თურქეთის ტურნეს მერე ცოტა იმედიანად ვიყავი, მაგრამ იმან, რაც ბულგარეთში ვნახე, ძალიან დამაფიქრა.

**— განმეორებით მატჩში ლობჟანიძე დაგვემატება და დაცვას გააძლიერებს. დილმის ბაზაზე ყიზილაშვილსაც მოვკარი თვალი და ბათუმელ ვანო მახარაძესაც. აპირებთ ამ ფეხბურთელთა დამატებას და ექნებათ თუ არა მათ უფლება, ითამაშონ განმეორებით მატჩში?**

— მახარაძეს მალე ჩავრიცხავთ გუნდში, ყიზილაშვილთან მოლაპარაკება მიმდინარეობს და შეიძლება ეს სეზონი მან „დინამოში“ გაატაროს. თუმცა, განმეორებით მატჩში ვერცერთი ვერ ითამაშებს, რადგან მათი განაცხადის გაგზავნა დავაგვიანეთ. ასევეა კრძევაძის საკითხიც. ისინი, უკეთეს შემთხვევაში, მეორე ეტაპიდან ჩაებმებიან უეფას თასზე. ლობჟანიძის გარდა განმეორებით მატჩში შეიძლება ანჩაბაძეც მოგვეხმაროს, რომელმაც უკვე მოირჩინა ტრავმა და კარგა ხანია ვარჯიშობს კიდეც. არადა, ჩემი აზრით, თუ ანჩაბაძე ფორმაში იქნა, სწორედ მას შეუძლია შუახაზში იმ ხარვეზის ამოვსება, ასე რომ ეტყობოდა გუნდს ბულგარეთში..

## ვარდარი (სკოპიე) — სამტრედია (სამტრედია) 1:0

**სამტრედია:** ჭანტურია, იონანიძე, გუჩუა, ბერაძე, ჯიშკარიანი, ცომაია, ტყავაძე, გ. დარასელია, დ. ჯანაშია, ზ. ჯანაშია, ჩხაიძე

დინამოსაგან განსხვავებით, სამტრედიელთა თამაშის ყურება მართლაც სასიამოვნო გახლდათ, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა ტელევიზიით ნაჩვენებ ფრაგმენტებში. სამტრედიელებმა თავგამოდებით მოთამაშე მეტოქეს ასევე თავგანწირვა, ბურთის კოლექტიური ართმევა და სახიფათო კონტრშეტევები დაუპირისპირეს. სკოპიელთაგან აშკარად გამოირჩეოდნენ მაკედონიის ნაკრების წევრები მასკოვსკი (№4), ივანოვსკი (№6) და სერაფიმოვსკი (№10). გოლი კი სამტრედიელებმა მეტად დასანანი გაუშვეს მატჩის დასაწყისშივე: მერვე წუთზე მარჯვენა ფრთაზე, საჯარიმოს კუთხესთან დანიშნული ჯარიმა სერაფიმოვსკიმ საჯარიმოში ჩაგდო, ჭანტურია ბურთს დაეუფლა, მაგრამ მოულოდნელად ხელიდან გაუვარდა და ნიკოლოვსკიმ მარჯვედ დაამატა. სამაგიეროდ ამის მერე ჭანტურია უშეცდომოდ მოქმედებდა და კარიც არაერთხელ გადაარჩინა „სამტრედია“ კი ისე თავისუფლად თამაშობდა, თითქოს ჰიპი ევროტურნირებში აქვს მოჭრილი და არაფერი აღელვებსო. სამტრედიელებმა არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს, ერთხელ დიდებულად მოთამაშე ზაზა ჯანაშიამ ორი მცველის მოტყუებისა და ძლიერი დარტყმის შემდეგ ძელსაც გაარტყა ბურთი. ჯიშკარიანმაც რამდენჯერმე ძლიერად დაარტყა საჯარიმოდ, ჩვენების შეტევების შეჩერება მეტოქეს ორ ყვითელ ბარათად დაუჯდა. მოკლედ, მურთაზ ხურცილავასა და სამტრედიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქართველი გულშემატკივრები მეტად იმედიანად შეეგებებიან განმეორებით მატჩს.

მამუკა ქვარაცხელია

### უეფას თასი.

| | |
|---|---|
| ვარდარი (სკოპლე, მაკედონია) — სამტრედია (საქართველო) | 1:0 |
| ბოტევი (პლოვდივი, ბულგარეთი) — დინამო (თბილისი, საქართველო) | 1:0 |
| ერებრუ (შვედეთი) — ავენირი (ბეგენი, ლუქსემბურგი) | 0:0 |
| ტ.პ.ვ. (ტამპერე, ფინეთი) — ვიკინგი (სტავანგერი, ნორვეგია) | 0:4 |
| ბანგორ სიტი (უელსი) — ვიძევი (ლოძი, პოლონეთი) | 0:4 |
| შელბურნი (ირლანდია) — აკრანესი (ისლანდია) | 0:3 |
| ჰ.ბ. (ტორსჰაგენი, ფარერები) — გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) | 0:0 |
| ბრონდბიუ (დანია) — ინკარას-გრიდასი (ლატვია) | [illegible] |
| ლილესტრიომი (ნორვეგია) — ფლორა (ტალინი, ესტონეთი) | 4:0 |
| მოზერველი (შოტლანდია) — მიუპა (ფინეთი) | 1:3 |
| სკონტო (რიგა, ლატვია) — მარიბორი (ბრანიკი, სლოვენია) | 1:0 |
| შტურმი (გრაცი, ავსტრია) — სლავია (პრაღა, ჩეხეთი) | 0:1 |
| ჟენესი (ეში, ლუქსემბურგი) — ლუგანო (შვეიცარია) | 0:0 |
| სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — ოსიეკი (ხორვატია) | 4:0 |
| დანდალკი (ირლანდია) — მალმიო (შვედეთი) | 0:[illegible] |
| კრუზეიდერსი (ჩრდ. ირლანდია) — სილკებორგი (დანია) | 1:2 |
| ეფენ ლიდო (პორტ ტალბოტი, უელსი) — რ.ა.ფ. (რიგა, ლატვია) | 1:2 |
| რეის როვერზი (შოტლანდია) — გოტუ (ფარერები) | 4:0 |
| სლავია (სოფია, ბულგარეთი) — ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) | 0:2 |
| ზიმბრუ (კიშინოვი, მოლდოვა) — ჰაპოელი (თელ-ავივი, ისრაელი) | 2:0 |
| სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) — გალათასარაი (სტამბული, თურქეთი) | 3:1 |
| ომონია (ნიქოზია, კვიპროსი) — შლიემა უონდერერსი (მალტა) | 3:0 |
| კოშიცე (სლოვაკეთი) — უიპეშტი (ბუდაპეშტი, უნგრეთი) | 0:1 |
| უნივერსიტატია (კრაიოვა, რუმინეთი) — დინამო (მინსკი, ბელარუსი) | 0:0 |
| ფენერბაჰჩე (სტამბოლი, თურქეთი) — პარტიზანი (ტირანა, ალბანეთი) | 2:0 |
| აპოლონი (ათენი, საბერძნეთი) — ოლიმპია (ლიუბლანა, სლოვენია) | 1:0 |
| ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) — ქსამაქსი (ნოიშატელი, შვეიცარია) | 0:1 |
| ჰიბერნიანსი (მალტა) — ჩერნომორეცი (ოდესა, უკრაინა) | 2:5 |
| ქიაფაზი (განჯა, აზერბაიჯანი) — აუსტრია (ვენა, ავსტრია) | 0:4 |
| ტირანა (ალბანეთი) — ჰაპოელი (ბეერ შევა, ისრაელი) | 0:1 |
| დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) — ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) | 0:1 |
| ზაგლებე (ლუბინი, პოლონეთი) — შირაქი (ერევანი, სომხეთი) | 0:0 |
| კარლსრუე (გერმანია) — ბორდო (საფრანგეთი) | 0:2 |
| ტიროლი (ინსბრუკი, ავსტრია) — სტრასბური (საფრანგეთი) | 1:1 |

### თასების თასი.

| | |
|---|---|
| გრევენმახერი (ლუქსემბურგი) — რეიკიავიკი (ისლანდია) | 3:2 |

### ჩემპიონთა თასი.

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი (ციურიხი, შვეიცარია) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) (იბრაჰიმი 50, კაშენცევი 55) | 1:1 |
| რეინჯერსი (გლაზგო, შოტლანდია) — ანორთოსისი (ფამაგუსტა, კვიპროსი) (დიური 68) | 1:0 |
| ლეგია (ვარშავა, პოლონეთი) — გიოტებორგი (შვედეთი) (პოდბროზნი 47) | 1:0 |
| კაზინო (ზალცბურგი, ავსტრია) — სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი) | 0:0 |
| დინამო (კიევი, უკრაინა) — ოლბორგი (დანია) (პოხლებაევი 82, პ.) | 1:0 |
| რუსენბორგი (ნორვეგია) — ბეშიქთაში (სტამბული, თურქეთი) | 3:0 |
| ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია) — ფერენცვაროში, ბუდაპეშტი, უნგრეთი) (ცუნტიჩი 59) | 0:1 |
| პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) — ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია) | [illegible] |

# რისი გეშინოდათ?!

### შევარდენი 3:0 დილა

შევარდენი: ბერაძე, ალადაშვილი, მჭედლიშვილი, თამაზაშვილი, ყორყიკაშვილი, ჯელაძე, კანკავა, მინდიაშვილი, გოდერძიშვილი (ქოიავა 82), მაზანაშვილი, გოგოლაძე (ამისულაშვილი 80)

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, ხ. გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი (ტაბატაძე 83), მარლიშვილი, ხორგუაშვილი, რევაზიშვილი (გაგნიძე 36)

1:0 გოდერძიშვილი (21), 2:0 გოგოლაძე (66), 3:0 გოგოლაძე (78)

მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

დავა-კამათი და ვარაუდები საფეხბურთო კლუბ „შევარდენის" თაობაზე არ წყდება. არ იქნა, არ დაადგა საშველი სიმართლის გარკვევას, არადა, ვერსია იმდენია, ვერ გაარკვევ, რომელია ტყუილი, რომელი მართალი. ამ მატჩის წინ ვესაუბრე ბატონ გოგი ხაზარაძესა და ბატონ ზურაბ ქიტიაშვილს. „შევარდენის" ორივე



ალადაშვილმა წამით დაასწრო მარლიშვილს

წარმომადგენლისგან თითქმის ერთნაირი პასუხი მივიღე — საბოლოო პასუხს ვერ გაგცემთ, საკითხი კლუბის შესახებ ჯერ კიდევ გადაწყვეტის პროცესშიაო. აქედან გამომდინარე, ჭორ-მართალი და იწილობიწილო სულ ცოტა, ერთ კვირას კიდევ გასტანს.

რაც შეეხება თამაშს, ურიგო სანახავი ნამდვილად არ გახლდათ. ტაიმებიც საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მატჩს გორელები ხალისიანად, მობილიზებულნი შეხვდნენ. არც იყო გასაკვირი — პირველ ტურში მათ დამაჯერებლად და ნერვების აუშლელად დაამარცხეს „მარგვეთი", თბილისელები კი პირიქით, უხალისონი და შიშიანები ჩანდნენ. მიზეზი წინა ტურში განცდილი მარცხია, მსაჯის შეცდომებმა ნაღდი სამი ქულა დაგვაკარგვინაო, გვითხრეს „შევარდენის" ფეხბურთელებმა. ასე იყო თუ ისე, თამაში „დილას" შეტევებით დაიწყო, მესამე წუთზევე მარლიშვილი მეკარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩათ მცველებს, მაგრამ მისი დარტყმა უზუსტო იყო. ორიოდე წუთიც და ისევ მარლიშვილი ისევ ხელსაყრელი მდგომარეობიდან ისევ არაზუსტია. გორელები ბურთს უფრო დიდხანს აკონტროლებდნენ და მოკლე პასებით ეშურებოდნენ სახიფათო მომენტების შექმნას. „შევარდენი" პირიქით — გრძელი გადაცემებით ცდილობდა ფონს გასვლას. აქვე ისიცაა აღსანიშნი, რომ თამაში დასაწყისიდანვე უხეშობის ზღვარზე მიმდინარეობდა, ხშირი იყო ორთაბრძოლები და ფეხებში ვარდნა. გუნდებმა ამაში ერთმანეთს ტოლი არ დაუდეს. თამაშმა თანდათან მოედნის ცენტრში გადაინაცვლა. მასპინძელთაგან აქტიურობდნენ ყორყიკაშვილი, გოდერძიშვილი და გოგოლაძე, ხოლო სტუმართაგან — მარლიშვილი და ხორგუაშვილი. წინა მატჩთან შედარებით ამ უკანასკნელთ მხარი ვერ აუბა და თამაში ვერ ააწყო რევაზიშვილმა, „დილას" მწვრთნელიც იძულებული გახდა პირველი ნახევრის ბოლოს იგი გამოეცვალა კიდეც. 21-ე წუთზე ყორყიკაშვილის გრძელი გადაცემის შემდეგ, რომელიც გოგოლაძეს „ეკუთვნოდა", სტუმართა მცველმა საჯარიმოში ხელით ითამაშა. პენალტი გოდერძიშვილმა დაარტყა, მეკარეს შანსი არ დაუტოვა და ანგარიში გაიხსნა. პირველი ნახევარი შემდგომაც ისევე წარიმართა, როგორც დაიწყო — „დილა" უტევდა, მასპინძლები კი გრძელი გადაცემებით ცდილობდნენ გოგოლაძისა და გოდერძიშვილის გარღვევაზე გაყვანას.

სტუმრებმა მეორე ნახევარიც მასპინძლებზე უკეთ და აქტიურად დაიწყეს და კვლავაც ორი სახიფათო მომენტი შექმნეს ზედიზედ, მაგრამ ჯერ მჭედლიშვილის, მერე ჯელაძის სიმარჯვემ „შევარდენს" ხიფათი აარიდა. ამის მერეც მარეხაშვილი მარცხენა ფრთიდან შეიჭრა „შევარდენის" საჯარიმოში და კარის სიახლოვეს ჩაჰკი და მაღალი ბურთი, ხორგუაშვილის თაური კი კი ისევ ასცდა მიზანს. მოკლედ, იმ დღეს სტუმრებს ბედი ნამდვილად არ სწყალობდათ. მასპინძლები დროზე მიხვდნენ, რომ 1:0 სულაც არ არის ის ანგარიში, თავი სამშვიდობოს დაიგულო და თამაშზე მყოფთ აკი დაგვიმტკიცეს, რომ მარტო პრაქტიკული ფეხბურთის თამაში კი არ შესძლებიათ, იმპროვიზაციის უნარიც ჰქონიათ და შეტევებიც სხვებზე ნაკლებად როდი სცოდნიათ. სულ რაღაც ხუთიოდე წუთში მათ ოთხჯერ შეეძლოთ „დილას" კარის დალაშქვრა. ჯერ იყო და, ჯელაძე-გოგოლაძის კომბინაცია მეკარესთან ორივეს პირისპირ გასვლით დამთავრდა, მაგრამ ბოლო მომენტში ერთმანეთს ხელი შეუშალეს და მცველმა ბურთის კუთხურზე გადაგდება მოასწრო. სახიფათოდ გათამაშებულ კუთხურს ისევ კუთხური მოჰყვა და გოდერძიშვილის დარტყმის შემდეგ თარხნიშვილმა ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა. მალე ისევ გოდერძიშვილმა დაარტყა ისე, რომ მეკარეს აკრობატული ნახტომი დასჭირდა ბურთის მოსაგერიებლად. თამაში გამძაფრდა, იგრძნობოდა, გოლი გვიდოდა და მაყურებელსაც დიდხანს არ მოუწია ლოდინმა. მარჯვენა ფრთაზე ჯელაძემ სისწრაფეში აშკარად დაჯაბნა ბალაშვილი და საჯარიმოში ბურთიანად შეჭრილმა კარის წინ გოგოლაძე მოძებნა, მან კი ბურთს ფეხი დაუხვედრა და ანგარიშში სხვაობა გაზარდა. გოლის შემდეგ გორელებმა ისევ შეუტიეს და სწორედ მაშინ იყო, მასპინძლების კონტრშეტევაზე რომ წამოეგნენ.

78-ე წუთზე გოდერძიშვილმა მოედნის სიღრმიდან სტუმართა საჯარიმოსთან მყოფ გოგოლაძეს „მიაწვდინა" ბურთი, ამან, კარისკენ ზურგით მდგარმა, ჯერ ერთი შეხებით, მარჯვენათი შეაგდო ბურთი და მერე ცაციათი შეუჩერებლად დაარტყა მეკარისგან შორეულ კუთხეში. სოლოლაშვილმა რეაქცია დააგვიანა და ანგარიშიც გასამდა. დარჩენილ თორმეტ წუთში საინტერესო რაღა იქნებოდა — „შევარდენს" საკეთებელი აღარა ჰქონდა, მისი მეტოქე კი ფსიქოლოგიურად გატყდა და ბედს შეეგუა.

თამაშის შემდეგ გავესაუბრეთ გამარჯვებული გუნდის მთავარ მწვრთნელს ჯონი ჯანელიძეს.

— თუ ელოდით დიდი ანგარიშით მოგებას?

— ყველამ კარგად უწყის, რაც მოხდა რუსთავში პირველი ტურის მატჩზე. ამიტომ თამაშის წინ ერთგვარი შიშის გრძნობა მქონდა. ძნელია, მომხდარის შემდეგ ფეხბურთელი ბრძოლისთვის ფსიქოლოგიურად განაწყო, მაგრამ ეს მაინც შევძელით და გავიმარჯვეთ.

— რაში ადანაშაულებთ ფიფას არბიტრს სერგო კვარაცხელიას?

— პირველ რიგში, ტენდენციურ მსაჯობაში. მსაჯს, რომელიც ფიფას ნიშნით გამოდის მინდორზე, ასეთი უსამართლობა ნამდვილად არ ეკადრება. რუსთავში წაგება არ მწყენია იმდენად, რამდენადაც კვარაცხელიას მტკიცება — ყველაფერში მართალი ვიყავიო. დარწმუნებული ვარ, ამ შეცდომებს სხვაგანაც და სხვა დროსაც გაიმეორებს, ამიტომ ვთხოვ ყველას, ვინც ქართულ ფეხბურთს ემსახურება, იქნებ საქმეს უფრო სერიოზულად მოვეკიდოთ და მეტი პროფესიონალიზმით ვისაქმიანოთ.



ხვიჩა გაგნიძე და მინდიაშვილი შარშან თანაგუნდელები იყვნენ

— როგორ შეაფასებთ სტუმართა თამაშს?

— „დილა" ძლიერი კოლექტივია. იგი წელს ხუთეულისთვის იბრძოლებს. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ გუნდში ყველა ადგილობრივი ფეხბურთელია, მათ ჩინებულად ესმით ერთმანეთის და შეუძლიათ ბევრს მიაღწიონ, თუ კიდევ აიმაღლებენ სათამაშო კლასს.

მამუკა კვანტალიანი



ორ ტურში კახა გოგოლაძემ სამი გოლი გაიტანა



ჯამბულ გაგნიძეს გოგოლაძის ნეიტრალიზება ევალებოდა

## ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ეკვადორში დაიწყო 17 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი.

„ა" ჯგუფი

განა — იაპონია 1:0
ეკვადორი — აშშ 2:0
იაპონია — აშშ 2:1
განა — ეკვადორი 2:1
განა — აშშ 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| ეკვადორი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| იაპონია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| აშშ | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

„ბ" ჯგუფი

არგენტინა — პორტუგალია 3:0
კოსტა-რიკა — გვინეა 2:0
არგენტინა — კოსტა-რიკა 2:0
გვინეა — პორტუგალია 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| გვინეა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| კოსტა-რიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

„გ" ჯგუფი

ნიგერია — ყატარი 1:1
ავსტრალია — ესპანეთი 2:2
ნიგერია — ავსტრალია 2:0
ესპანეთი — ყატარი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ნიგერია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ყატარი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

„დ" ჯგუფი

ბრაზილია — გერმანია 3:0
ომანი — კანადა 2:1
ბრაზილია — ომანი 0:0
გერმანია — კანადა 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ომანი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| კანადა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

მეოთხედფინალები:

12 აგვისტო 1. ა1 — ბ2
2. გ1 — დ2
13 აგვისტო 3. ბ1 — ა2
4. დ1 — გ2

ნახევარფინალები:

17 აგვისტო 1-2
3-4

მესამე ადგილისთვის — 20 აგვისტო
ფინალი — 20 აგვისტო

# ზაურ მხსნელი

ვლადიკავკაზის „სპარტაკმა" ბოლო 18 დღეს ზედიზედ ექვსი მატჩი ჩაატარა და ალბათ სწორედ გადაღლას უნდა მიეწეროს მისი ბოლო ორი უფერული მატჩი ვოლგოგრადში როტორთან (1:1) და შინ მოსკოვის „დინამოსთან" (2:0). ვოლგოგრადში პირველი თხუთმეტი-ოცი წუთი ასე თუ ისე გაძლეს გაზაევის შეგირდებმა, მერე კი „როტორმა" ნიდერგაუს — ვერეტენნიკოვის თავგამოდების წყალობით შეტევა შეტევაზე დაატეხეს კავკასიელებს და ამათ რომ ხაპოვი არ ჰყოლოდათ, რომელმაც 27 (!) კარში დარტყმული ბურთი მოიგერია, ალბათ ბურთების დადებითი ბალანსით (+30) ვოლგოგრადს ჩასულები, შერცხვენილები წამოვიდოდნენ შინ. ხაპოვმა მართლაც თავი გაიგიჟა და ერთის გარდა ყველა ბურთი მოიგერია, „სპორტ-ექსპრესისაგან" 8,0 ბალი დაიმსახურა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც უკონკურენციოდ მოხვდა. შინ კი გაუჭირდათ ვლადიკავკაზელებს, მაგრამ კასიმოვისა და ტიმოფეევის გოლების წყალობით (ორივეში ყაველაშვილს წილი უდევს) მაინც დაამარცხეს მეტოქე და ჩემპიონატის დასრულებამდე ათი ტურით ადრე თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაინაღდეს რუსეთის ჩემპიონობა. ერთადერთმა შეიძლება მოსკოვის „ლოკომოტივმა" აუშალოს მათ ნერვები — ამ გუნდმა ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და აშკარად აკრიფა სიჩქარე, მაგრამ საეჭვოა, რომ ცხრაქულიანი უპირატესობის ათ ტურში გაბათილება შეძლოს. არადა, „ლოკომოტივმა" ორ-ორი თამაში მოუგო ორივე „სპარტაკს".

რაც შეეხება დევაძისა და გუჯაბიძის „როსტსელმაშს", ქართველი მცველის მისვლით „როსტსელმაშის" ყბადაღებულ დაცვას ეტყობა, ეშველა და აი შედეგიც — ორი მოიგოორი მოგება და ერთი ადგილით ზემოთ ანაცვლება გათამაშების ცხრილში...



XIX ტური, 5 აგვისტო. დინამო (მ) - კამაზ. ჩალი 1:0, როტორი — სპარტაკ-ალანია 1:1, ლოკომოტივი (მ) — სპარტაკი 1:0, ლოკომოტივი (ნ.ნ) — დინამო გაზოვიკი 0:0, ურალმაში — ტექსტილშჩიკი 2:0, ჟემჩუჟინა — როსტსელმაში 1:3, კრილია-სოვეტოვი — ცსკა 1:2, ჩერნომორეცი — ტორპედო 0:1.

XX ტური. 9 აგვისტო დინამო-გაზოვიკი — ლოკომოტივი (მ) 2:3, სპარტაკი — კრილია სოვეტოვი 5:1, სპტაკ-ალანია — დინამო (მ) 2:0, კამაზ ჩალი — როტორი 2:0, ტექსტილშჩიკი — ჟემჩუჟინა 2:1, ცსკა — ჩერონომორეცი 4:0, ტორპედო — ლოკომოტივი (ნ.ნ) 2:0, როსტსელმაში — ურალმაში 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიკავკაზი | 20 | 16 | 1 | 3 | 48-16 | 49 |
| ლოკომოტივი | 20 | 12 | 4 | 4 | 31-18 | 40 |
| ტორპედო | 20 | 12 | 4 | 4 | 29-19 | 40 |
| სპარტაკი | 20 | 11 | 4 | 5 | 51-22 | 37 |
| ცსკა | 20 | 11 | 3 | 6 | 39-23 | 36 |
| დინამო | 20 | 10 | 5 | 5 | 27-21 | 35 |
| როტორი | 20 | 8 | 4 | 8 | 37-30 | 28 |
| ურალმაში | 20 | 8 | 2 | 10 | 27-31 | 26 |
| კამაზი | 20 | 7 | 5 | 8 | 25-22 | 26 |
| ტექსტილშჩიკი | 20 | 6 | 6 | 8 | 25-26 | 24 |
| ჟემჩუჟინა | 20 | 6 | 3 | 11 | 25-47 | 21 |
| ჩერნომორეცი | 20 | 6 | 2 | 12 | 19-38 | 20 |
| კრ. სოვეტოვი | 20 | 4 | 6 | 10 | 22-39 | 18 |
| ნ.ნოვგოროდი | 20 | 3 | 9 | 8 | 17-27 | 18 |
| როსტსელმაში | 20 | 4 | 3 | 13 | 21-43 | 15 |
| გაზოვიკი | 20 | 3 | 5 | 12 | 24-45 | 14 |

## ბრიტანულ ტრანსფერთა რეკორდები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1995 | ივნისი | სტენ კოლიმორი | ნოტინგემ ფორესტი — ლივერპული | 8,5 მლნ |
| 1995 | იანვარი | ენდი კოული | ნიუკასლი — მანჩესტერ იუნაიტედი | 7 მლნ |
| 1994 | ივლისი | კრის სატონი | ნორვიჩ სიტი — ბლექბერნი | 5 მლნ |
| 1993 | აგვისტო | დანკან ფერგიუსონი | დანდი იუნაიტედი — რეინჯერსი | 4 მლნ |
| 1993 | ივლისი | როი კინი | ნოტინგემ ფორესტი — მანჩესტერ იუნაიტედი | 3.75 მლნ |
| 1992 | ივლისი | ალან შირერი | საუთჰემპტონი — ბლექბერნი | 3.6 მლნ |
| 1991 | ივლისი | დინ სონდერსი | დერბი ქაუნთი — ლივერპული | 2.9 მლნ |
| 1988 | ივლისი | ტონი კოტი | ვესტ ჰემი — ევერტონი | 2.2 მლნ |
| 1988 | ივლისი | პოლ გასკოინი | ნიუკასლი — ტოტენჰემი | 2 მლნ |
| 1981 | ოქტომ. | ბრაიან რობსონი | ვესტ ბრომვიჩი — მანჩესტერ იუნ. | 1.5 მლნ |
| 1979 | თებერ. | ტრევორ ფრენსისი | ბირმინგემი — ნოტინგემ ფორესტი | 1.2 მლნ |
| 1979 | იანვარი | დევიდ მილსი | მიდლსბორო — ვესტ ბრომვიჩი | 516 ათასი |
| 1977 | აგვისტო | კენი დალგლიში | სელტიკი — ლივერპული | 440 ათასი |
| 1970 | მარტი | მარტინ პიტერსი | ვესტ ჰემი — ტოტენჰემი | 200 ათასი |
| 1966 | აგვისტო | ალან ბოლი | ბლექპული — ევერტონი | 110 ათასი |
| 1960 | მარტი | დენის ლოუ | ჰადერსფილდი — მანჩესტერ სიტი | 55 ათასი |
| 1947 | ნოემ. | ტომი ლოუტონი | ჩელსი — ნოთს ქაუნთი | 20 ათასი |
| 1928 | ოქტომ. | დევიდ ჯეკი | ბოლტონ ვონდერერზი — არსენალი | 11 ათასი |
| 1905 | თებერ. | ალფ კომონი | სანდერლენდი — მიდლსბორო | 1 ათასი |

# ფული მთავარი არაა!

„მინდა ტიტულები მოვიპოვო, ევროთასზე გამსვლელი ადგილის დავიკავებ ერთი პირობა მაფიქრებინა, „ნოტინგემ ფორესტში" ხომ არ დავრჩე-მეთქი, მაგრამ საბოლოოდ მაინც „ლივერპულში" გადასვლა ვარჩიე. „ლივერპული" მდიდარ, უმდიდრეს კლუბთაგანია, რომელიც ფულს საქმეში ხარჯავს და შესაბამისად, ჩემი კარიერისთვის აქ მოხვედრა გონივრული იყო." — უთხრა ჟურნალისტებს ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირად გაყიდულმა ფეხბურთელმა, 24 წლის სტენ კოლიმორმა. კოლიმორი „ლივერპულმა" „ნოტინგემ ფორესტისგან" 8,5 მილიონ გირვანქად შეიძინა. „ლივერპულის" გარდა სტენს ამ ქალაქის მეორე გუნდი „ევერტონიც" იწვევდა და, როგორც თავად თქვა, უფრო დიდ ხელფასსაც სთავაზობდა, კონკრეტულად, კვირაში ორი ათასი გირვანქით მეტს, მაგრამ მოთამაშემ მდიდარი ტრადიციების გუნდი არჩია. „ლივერპულის" მწვრთნელმა როი ევანსმა თქვა: „ვიცი, რომ სტენი მეტისმეტად რთული არჩევანის წინაშე იდგა, მაგრამ ასე გადაწყვიტა და, ვფიქრობ, სწორედაც. მან მეტ ფულს უკეთესი ფეხბურთი ამჯობინა."

კოლიმორის ტრანსფერი ლამის ჩაიშალა. საქმე ის გახლავთ, რომ ფეხბურთელი ყოფილ კლუბს უჩივის, ჩემი კუთვნილი ფულის ხუთი პროცენტი დამაკელითო, რის პასუხადაც „ნოტინგემ ფორესტის" მწვრთნელმა ფრენკ კლარკმა გარიგების ჩაშლა განიზრახა. ჯერ ხელი მოაწეროს დოკუმენტს, რომ იმ რაღაც 425 ათასს აღარ ითხოვს და მერე გავუშვებო. დიდი თხოვნისა და საქმის გარჩევის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჯერ კონტრაქტს გააფორმებენ, ამ ფულის საქმეს კი მერე, შემოდგომაზე განიხილავენ. ზემოხსენებული დავის გამო სტენს ხარბის სახელი გაუვარდა და აღარც ის სჯეროდათ, „ევერტონი" მას მეტს რომ სთავაზობდა. მან კიდევ ერთხელ განმარტა ვითარება და თქვა, რომ გუნდი, უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთის დონისა და კარიერის გამო აირჩია, გარდა ამისა, კიდევ იმიტომაც, რომ „ლივერპულში" მისი მეგობრები ჯეიმი რედნეპი და დევიდ ჯეიმსი თამაშობენ. „რომ ვთქვა, ფული არ მაინტერესებდა და არჩევნის დროს არ ვითვალისწინებდი-მეთქი, გულშემატკივრების ირონიულ ღიმილს დავიმსახურებ, მაგრამ გულზე ხელს დავიდებ და გეტყვით, რომ უპირველესი ფული არ ყოფილა" — ამბობს კოლიმორი, რომლის ბავშვობის ოცნება დიდ გუნდში თამაში და დიდი შედეგების მიღწევა გახლდათ.

„ლივერპულში" კოლიმორი მერვე ნომრით გავა მოედანზე. ეს სამოციანი წლების ვარსკვლავის როჯერ ჰანტის მაისურია. ყოველთვის ათი ნომერი მეცვა — თქვა სტენმა — მაგრამ სულაც არ ვაპირებ ჯონ ბარნსთან მისვლას და მაისურის თხოვნას. რვა ნომრითაც კარგად ვითამაშებ. როჯერ ჰანტიც გამიგონია, ის აქ ვარსკვლავი იყო და მისი ნომრით თამაში დიდი პატივია."



კოლიმორი და „ლივერპულის" მწვრთნელი როი ევანსი

# თუ კონკურენცია გსურს, უნდა გაგიჟდე

ერთი რამ აშკარაა, ინგლისელ გულშემატკივრებს ახალ სეზონში, რომელიც 19 აგვისტოს დაიწყება, უწინდელზე მეტი დაეხარჯებათ. ისიც აშკარაა, საიდან მოვიდა ამგვარი დასკვნა — ივნისსა და ივლისში, სანამ ფეხბურთელები ისვენებდნენ, კლუბების პატრონებმა ვარსკვლავებით ისეთი ვაჭრობა გააჩაღეს, რომ ახლა ინგლისის პრემიერლიგა იტალიის „სერია A"-ზე ნაკლებად როდია გადახუნძლული ჟღერადი სახელებით. ამ საქმეში, ცხადია, დიდძალი ფული წავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ტელევიზიაც უზარმაზარ თანხებს იხდის, სპონსორებიც ბლომ-ბლომად იხარჯებიან და სიმბოლიკითა და ამგვარი ატრიბუტიკით ვაჭრობაც გაჩაღებულია, კლუბებისთვის მთავარ შემოსავლად მაინც ბილეთების გაყიდვა რჩება. უღირთ ქომაგებს ვარსკვლავთა ხილვა ბილეთების გაძვირებად? მაგალითად: „არსენალის" თაყვანისმცემლები, რომლებიც ყველაზე ძვირიან ადგილებზე წლიურ აბონემენტს შეიძენენ, ძველი ტარიფებით დენის ბერხკამპის ერთი კვირის ჯამაგირს 35 წელიწადში გადაიხდიდნენ, ახლა კი...

ბერხკამპის შესაძენად „არსენალი" „ინტერს" 7,5 მილიონ გირვანქად გაურიგდა (დაახლოებით 12 მილიონი დოლარი), თავად მოთამაშე კი უკვე იღებს 20 ათასს (32 ათასი დოლარი) თვეში. ეს ინგლისის პრემიერლიგაში უდიდესი ხელფასია.

ამ თვალსაზრისით, „არსენალმა" ფინანსური თვითმკვლელობა ჩაიდინა. აკი თავად კლუბის თავმჯდომარე პეტერ ჰილ-ვუდი ამბობს: „ეს ჩამოყალიბებული გიჟობაა. ბოლო 20 წელიწადში ტრანსფერების ბაზარი შეშლილთა ასპარეზად იქცა და დღითიდღე მეტად და მეტად ხელდება, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ კონკურენცია გსურს, საუკეთესო ფეხბურთელები გჭირდება და ამ აურზაურში ჩათრეული გამოდიხარ." „არსენალის" დანახარჯმა 12 მილიონ გირვანქას ანუ დაახლოებით 19,2 მილიონ დოლარს გადააჭარბა მას მერე, რაც ინგლისის ნაკრების კაპიტანი დევიდ პლატი „სამპდორიიდან" 4,75 მილიონ გირვანქად (7,6 მილიონი დოლარი) დაიბეკა.

დენის ბერხკამპს კიდევ არაუშავდა, აი, „ლივერპულმა" 8,5 მილიონ (13,6 მილიონი დოლარი) გირვანქად „ნოტინგემ ფორესტიდან" სტენ კოლიმორი რომ იყიდა, ყველამ პირი დააღო. საოცარია, 24 წლის კოლიმორი ბრიტანეთის ყველაზე ძვირი ფეხბურთელი გახდა, კვირაში 14 ათას გირვანქიან ხელფასს (22,4 ათასი დოლარი) გამოჰკრა ხელი და ეს მაშინ, როდესაც ნაკრებში მხოლოდ 88 წუთი აქვს ნათამაშები, ევროპის საკლუბო თასებზე კი ერთხელაც არ გამოსულა.

ფულების ხარჯვას არც სხვა კლუბებმა დააკლეს ხელი. „ნიუკასლ იუნაიტედის" მწვრთნელმა კევინ კიგანმა დაახლოებით 12 მილიონი გირვანქა დახარჯა (19,2 მილიონი დოლარი). ამ თანხიდან, ასე, 2,5 მილიონი „პარი სენ ჟერმენს" ცნობილ დავიდ ჟინოლაში მიუთვალა, ხოლო 10 მილიონამდე ინგლისის ნაკრების მოთამაშეებში ლეს ფერდინანდსა და უორენ ბარტონში გადაიხადა.

„ასტონ ვილაში" ბრაიან ლიტლმა მას მერე, რაც შარშან გუნდს სათავეში ჩაუდგა, 13 მილიონი გირვანქა ანუ დაახლოებით 21 მილიონი დოლარი დახარჯა. მისი ბოლო შენაძენებია „კრისტალ პალასის" გერეთ საუთგეიტი — 2,5 მილიონად, ბელგრადის „პარტიზანიდან" ფორვარდი სავა მილოშევიჩი — 3 მილიონად და 3,5-ად — „ლესტერ სიტის" მარკ დრეიპერი.

„ტოტენჰემმა", რომელმაც იურგენ კლინსმანი „ბაიერნში" გაუშვა, 4,5 მილიონ გირვანქად (7,2 მილიონი დოლარი) „კრისტალ პალასიდან" კრის არმსტრონგი გადაიბირა. ეს ის არმსტრონგია, გასულ სეზონში ბალახის მოწევაზე რომ ჩავარდა და მხოლოდ 8 გოლი შეაგდო.

რაც შეეხება სხვათა საერთაშორისო ვაჭრობას, აქ საქმეები ასეა: „ლესტერმა" შეიძინა ავსტრალიელი გოლიათი მეკარე ზელიკო კალაჩი, რომელიც აქამდე „სიდნეი იუნაიტედის" კარს იცავდა. ბრაზილიელი თავდამსხმელი ისაიაში „ქოვენთრი სიტიში" მივიდა, „მანჩესტერ სიტის" შენაძენ გიორგი ქინქლაძეზე კი სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

„ნოტინგემ ფორესტმა" ძირითადად შინაურ ბაზარზე იყოჩაღა. აქ „არსენალიდან" კევინ კემპბელი გადავიდა, „შეფილდ უენსდეიდან" კი არის ბარტ-უილიამსი. მათში ერთად 4 მილიონ გირვანქამდე (6,4 მილიონი დოლარი) გადაიხადეს. „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „ევერტონმა" კი წლევანდელ ვაჭრობაზე დიდად ვერ ივარგეს.

„ჩელსიმ" კი დიდი გარიგება გაკვაჭა. ბებერი ჰოლანდიელი ვარსკვლავის რუუდ გულიტის „სამპდორიადან" გადაყვანა, თანაც მაშინ, როდესაც იღბლად იტალიურმა კლუბმა დამსახურებულ ჰოლანდიელს პატივი სცა და კი არ გაყიდა, უბრალოდ, გაუშვა, დიდი საქმეა. ამით ლონდონელებს ფული დაეზოგათ და „მანჩესტერ იუნაიტედს" ქართველებისთვის კარგად ნაცნობ უელსელ მარკ ჰიუზში 1,5 მილიონი გირვანქა (2,4 მილიონი დოლარი) გადაუხადეს. 31 წლის ჰიუზში 1,5 მილიონის გადახდა გაცილებით სახეიროა, ვიდრე „ნიუკასლის" მიერ 29 წლის ფერდინანდის 6 მილიონად შეძენა.

„ბლექბერნ როვერსში" ისეთი არაფერი მომხდარა, უბრალოდ, ალან შირერმა კლუბთან ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

რაც შეეხება მწვრთნელთა ყიდვა-გაყიდვა-გამოცვლას, „შეფილდ უენსდეიში" ტრევორ ფრენსისს დევიდ პლიტი შეცვლის, ალან ბოლმა „საუთჰემპტონიდან" „მანჩესტერ სიტიში" გადაინაცვლა და ქინქლაძეს გაწვრთნის.

მოამზადა პაპუნა კედიამ.

## პოლონეთი

II ტური. შლიონსკი — ლეხი 0:1, ზაგლებიე — სტალი 5:1, სოკოლი — ლეგია 1:3, ლეხია — ამიკა 2:0, რაკოვი — სტომილი 1:0, ლ.კ.ს. — გ.კ.ს. (ბელხატოვი) 1:0, პუტნიკი — ვიძევი 1:4, პოგონი — გ.კ.ს. (კატოვიცე) 1:0, გურნიკი — სიარკა 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიძევი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:1 | 6 |
| ლეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| პოგონი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| გურნიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ზაგლებიე | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| ლეხია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ოლიმპია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ლეხი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ამიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სტომილი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| რაკოვი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| სტალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:7 | 3 |
| პუტნიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| სიარკა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ლ.კ.ს. | 2 | 0 | 0 | 2 | 1:1 | 0 |
| ბელხატოვი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |
| გ.კ.ს. | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| შლიონსკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| სოკოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

## საფრანგეთი

IV ტური. ოსერი — ლანსი 0:1, ლილი — გინგამი 0:3, ბასტია — მონაკო 2:1, პსჟ — სენტ ეტიენი 4:0, ნიცა — გენიონი 3:1, მარტიგი — კანი 2:1, მეცი — მონპელიე 1:0, რენი — ლე ავრი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბასტია | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| მეცი | 4 | 3 | 1 | 0 | 4:2 | 10 |
| პსჟ | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 8 |
| გინგამი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:1 | 8 |
| მონაკო | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| ლანსი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| ნანტი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| ბორდო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| რენი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:8 | 6 |
| სტრასბური | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| ნიცა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ოსერი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:4 | 4 |
| მონპელიე | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| მარტიგი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:7 | 4 |
| კანი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:7 | 3 |
| ლიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| ლე ავრი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:7 | 3 |
| სენტ ეტიენი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |
| გენიონი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:7 | 2 |
| ლილი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |

## ფეხბურთის რუკასთან



ბელგიელებმა ახალი სეზონი დაიწყეს. პირველი ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: ალოსტი — ანდერლეხტი 3:1, სენტ-ტრუიდენი — სერენი 4:1, სტანდარდი — ლომელი 1:0, სერკლი — ანტვერპენი 3:2, ლიერსი — ჰარელბეკე 0:1, მოლენბეკი — ბევერენი 1:0, შარლერუა — მეხელენი 4:2, ვარეგემი — გენტი 2:2, ეკერენი — ბრიუგე 1:2.

პორტუგალიაში ჩემპიონატი 20 აგვისტოს დაიწყება. მანამდე კი „პორტუ" და ლისაბონის „სპორტინგი" ქვეყნის სუპერთასისთვის შეებრძოლენ ერთმანეთს. შეხვედრა დაძაბული და უხეში გამოდგა. 25-ე წუთისთვის პორტუელმა ემერსონმა მეორე ყვითლის მიღება და მოედნის დატოვება მოასწრო. გაძევებები ამით არ მორჩენილა. 83-ე წუთზე კვლავ „პორტუს" ფეხბურთელს მოუხდა მინდვრიდან გასვლა — ასე აღნიშნა თავისი დებიუტი ცნობილ პორტუგალიურ კლუბში პოლონელმა გუეგოჟ მელცარსკიმ. 86-ე წუთზე ამათი ხვედრი ლისაბონელმა პედრო მარტინშმაც გაიზიარა. ამ ყაიდის სახიფათო მომენტების გარდა სათამაშო სახიფათო მომენტებიც მრავლად იყო. „სპორტინგის" თავდამსხმელმა სა პინტუმ პირველ ტაიმში ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, მაგრამ ვალში არც „პორტუ" დარჩა. შესვენებამდე წამებით ადრე დომინგუშის თაური ლისაბონელებმა სასწაულებრივ არ შეუშვეს კარში. თამაშის ბოლოს „პორტუს" უნგრელმა პეტერ ლიპჩეიმ ძელს მოარტყა, ცნობილ ნიგერიელს, „სპორტინგში" მოთამაშე ემანუელ ამუნიკეს კი მეკარემ აუღო. პორტუში განმეორებითი თამაში 23 აგვისტოს შედგება.

რუმინელებმაც გაარკვიეს სუპერთასის მფლობელის ვინაობა. „სტიაუასა" და „პეტროლულის" შეხვედრა პირველის გამარჯვებით 2:0 დასრულდა. გოლები მ[illegible]ლიცერუმ და ვლადოიუმ გაიტანეს.

გერმანიაში სულ გაავაზაკდნენ. [illegible]პიონატამდე აქ სხვადასხვა ტურნირები მოეწყო და, როგორც გაირკვა, ბევრი მათგანის ორგანიზატორი თაღლითი ყოფილა. მაგალითად: ლანდსჰუტის ტურნირის თავკაცმა ბილეთების გაყიდვით შესული ფული ჯიბეში ჩაიდო და გაქუსლა. „ფორტუნას" და „ბოხუმს" ფელკლინგში რაღაც ტყუილი საბანკო ჩეკები შეაჩეჩეს. „ჰამბურგი", „ზანკტ პაული" და „ურდინგენი" 90 ათასი მარკით დაზარალდნენ.



# „პარმას" უბადლო დუეტი



| გუნდი | ნყვილები | გ. | ჯამი | საშ. | გუნდის გოლები | % |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიორენტინა | ბატისტუტა | 26 | 35 | 1,03 | 57 | 61,40 |
| | რუი კოშტა | 9 | | | | |
| იუვენტუსი | ვიალი | 16 | 31 | 0,91 | 59 | 52,54 |
| | რავანელი | 15 | | | | |
| რომა | ბალბო | 22 | 30 | 0,88 | 46 | 65,22 |
| | ფონსეკა | 8 | | | | |
| ლაციო | სინიორი | 17 | 29 | 0,85 | 69 | 42,03 |
| | კაზირაგი | 12 | | | | |
| ტორინო | რიცტელი | 19 | 29 | 0,85 | 44 | 65,91 |
| | პელე | 10 | | | | |
| მილანი | სიმონე | 17 | 26 | 0,76 | 53 | 49,06 |
| | სავიჩევიჩი | ·9 | | | | |
| პარმა | ძოლა | 19 | 26 | 0,76 | 51 | 50,98 |
| | ბრანკა | 7 | | | | |
| ბარი | ტოვალიერი | 17 | 24 | 0,71 | 40 | 60,00 |
| | პროტი | 7 | | | | |
| კრემონეზე | ჩიეზა | 14 | 21 | 0,62 | 35 | 60,00 |
| | ტენტონი | 7 | | | | |
| კალიარი | მუცი | 12 | 20 | 0,59 | 40 | 50,00 |
| | დელი ვალდესი | 8 | | | | |
| სამპდორია | მანჩინი | 9 | 18 | 0,53 | 51 | 35,29 |
| | გულიტი | 9 | | | | |
| ჯენოა | სკუპრავი | 12 | 17 | 0,50 | 34 | 50,00 |
| | ვანტსხიპი | 5 | | | | |
| ნაპოლი | აგოსტინი | 9 | 16 | 0,47 | 40 | 40,00 |
| | კრუზი | 7 | | | | |
| | რინკონი | 7 | | | | |
| პადოვა | მანიერო | 9 | 16 | 0,47 | 37 | 43,24 |
| | კრეკი | 7 | | | | |
| ფოჯა | ბრეშიანი | 7 | 13 | 0,38 | 32 | 40,63 |
| | კაპელინი | 6 | | | | |
| ინტერი | სოსა | 8 | 13 | 0,38 | 39 | 33,33 |
| | ბერტი | 5 | | | | |
| რეჯანა | პადოვანო | 7 | 11 | 0,32 | 24 | 45,83 |
| | ესპოზიტო | 4 | | | | |
| | სიმუტენკოვი | 4 | | | | |
| | ფუტრე | 4 | | | | |
| ბრეშია | ნერი | 5 | 8 | 0,24 | 18 | 44,44 |
| | გალო | 3 | | | | |

აშშ-ის ნაკრები, „პარმა", „ბენფიკა" და „ბოკა ხუნიორსი" — ასეთმა შემადგენლობამ მოიყარა თავი ამერიკის ქალაქ ისტ-რუტერფორდის სტადიონ „ჯაიანთზე". ტურნირის ნახევარფინალებში, 4 აგვისტოს რომ გაიმართა, ერთმანეთს შეხვდნენ აშშ — „პარმა" და „ბოკა ხუნიორსი" — „ბენფიკა". ამერიკელებმა იტალიური კლუბის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. თავიდან ძოლას ჩაწოდებული ლალასმა თავით ისე ოსტატურად შეაგდო საკუთარ კარში, გეგონებოდა, შეტევა და დაცვა აერია თორემ შემთხვევით ასე ვერ დაარტყამდაო. ანგარიში მაიკ ლაპერმა გაქვითა, მაგრამ ტრავმამოშუშებულმა შვედმა ვარსკვლავმა თომას ბროლინმა თამაშის ბოლო წერტილი დასვა — 2:1. მეორე ნახევარფინალში კლაუდიო კანიჯას პასით ლუის მედეროს მიერ გატანილმა გოლმა არგენტინული გუნდი ფინალში გაიყვანა. მესამე ადგილისთვის აშშ-მ „ბენფიკას" 2:1 მოუგო, ხოლო ფინალში პარმელებმა „ბოკას" სამი შუგდეს ერთის სანაცვლოდ — 3:1. იტალიელთა სამი გოლიდან ორი ხრისტო სტოიჩკოვმა გაიტანა, ერთიც ბროლინმა. ამგვარად, „პარმას" მიერ ტურნირზე გატანილი ხუთი ბურთიდან ოთხი სტოიჩკოვ-ბროლინისაა. საგულისხმოა, რომ ყველაფრის დათვლითა და ანალიზით ცნობილ იტალიელებს გასულ სეზონში „სერია A"-ს გუნდებში თავდამსხმელთა საუკეთესო „დუეტებიც" გამოუკვლევიათ და მათი შედეგები ცხრილის სახით ჩამოუწერიათ. ახლა ამ ცხრილს შემოგთავაზებთ და თან დავძენთ, რომ სტოიჩკოვის შეძენის შემდეგ „პარმას" შვედურ-ბულგარულ ტანდემს მომავალ სეზონში იქნებ ბადალი არც კი გამოუჩნდეს.

დასაწყისი წინა „სარბიელში"

თვეების მანძილზე იწერებოდა, რომ იურგენ კოლერის „ბორუსიაში" გადმოსვლის საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო. თითქოს სახლიც შეურჩიეს და ტელეფონიც დაუდგეს. სისულელეა. მანამ, სანამ პირადად არ გავესაუბრები ფეხბურთელს, მას ჩვენს გუნდში ადგილი გარანტირებული არ ექნება. გამონაკლისი არ არსებობს, კოლერის დონის ფეხბურთელისთვისაც კი.

ორი თვის წინ მენეჯერ მიხაელ მაიერის სახლში იტალიაში მოთამაშე ბოლო დიდი გერმანელი ლეგიონერი წარმიდგინეს. ნახევარი საათის საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ კოლერს აუცილებლად სურდა ჩვენთან გადმოსვლა. წინასწარ არაფერი უთხოვია, მხოლოდ ის თქვა, მსურს, „ბორუსიას" ვემსახუროო. მისთვის სულერთი იყო, რა ნომერს არგუნებდნენ გუნდში, ამით დაგვარწმუნა, თუ რა სერიოზულად ეკიდებოდა ამ საქმეს.

ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიაც არ მიმიცია. „შენ ბოდო შმიდტის ადგილზე გაგსინჯავ, ოღონდ გახსოვდეს, რომ ბოდო სამი წელია ძირითადში თამაშობს და თავის ადგილს იოლად არავის დაუთმობს. მის ნაცვლად ღირსეულმა უნდა ითამაშოს" — ვუთხარი კოლერს.

ახალწვეულ ფეხბურთელებს ხუთ მოთხოვნას ვუყენებ. ეს ჯერ-ჯერობით ამართლებს და ჩემს ცხოვრებაში რიგით მეშვიდე ჯილდო — 1995 წლის გერმანიის ჩემპიონობაც მომაპოვებინა.

1. ახალმა ფეხბურთელმა სიახლე უნდა შემოიტანოს გუნდში. კოლერი ჩვენს დაცვას სტაბილურს რომ გახდიდა, ეს უეჭველი იყო. ის და ჟულიო სეზარი შესანიშნავად უგებენ ერთმანეთს.

2. ფეხბურთელს უნდა უყვარდეს თავისი საქმე. თუ მოთამაშე რეჟიმს არღვევს, ისეთ ქალაქში, როგორიც დორტმუნდია, ამას უმალ შევიტყობ. ასეთ კაცს გუნდს განვარიდებთ. ჩემთვის ისიც მნიშვნელოვანია, ჰყავს თუ არა ფეხბურთელს უკანონო შვილები ან გაყრილია ცოლთან თუ არა. ამით მისი ცხოვრების წესს შეიძლება ჩახვდე. თუ კაცს ქალებთან კონფლიქტი აქვს, ის თამაშზე კონცენტრაციას ვერ მოახერხებს. პატრიკ ბერგერმა ჩემი სიმპათია დაიმსახურა — ის ცოლსა და ბავშვს დაუბრუნდა.

3. ფეხბურთელი გულწრფელი უნდა იყოს. ერთ ხანს თომას ჰელმერს უკან დაბრუნება უნდოდა. მაგრამ გადასვლის დროს ის უპატიოსნოდ მოიქცა, ამიტომ „ბორუსიაში" ჰელმერის დაბრუნება გამორიცხულია, თუმცა სპორტული თვალსაზრისით ეს გამართლებული და სასიკეთო იქნებოდა.

4. ფეხბურთელი უნდა ეყოს ხელფასს და არა პირიქით. ამაზე პასუხისმგებელი ჩვენთან მენეჯერი მაიერია. თუმცა ფულის გაღებაში მე უფრო ყაირათიანი ვიქნებოდი — მაოცებს, რომელი პრინციპის მიხედვით არიგებს ის ასე ხშირად პრემიებსა და წამახალისებელ ჯილდოებს.

5. და ბოლოს: არჩევანი ჩემზეა — მე უნდა მივცე თანხმობა მენეჯერს ხელფასების გაცემაზე. ფეხბურთელი მიიღებს იმდენს, რამდენსაც მოედანზე და ვარჯიშზე იხარჯება.

მწვრთნელმა თავის მოთამაშეთა ზნე და ხასიათიც ზედმიწევნით უნდა იცოდეს. ანდრეას მიოლერის გადმოყვანაზე რომ მიდგა საქმე, მივხვდი, რით შემეძლო მისი გადმობირება — არა ფულით, არამედ მაისურით, რომელზეც „10" იქნებოდა. ეს მისი ბავშობის ოცნება იყო — გამხდარიყო ნახევარდაცვის შეფი.

რთული აქ სხვა რამ გახლდათ — ბევრს არ მოსწონს, როცა ფეხბურთელი დიდ გასამრჯელოს იღებს, ასე რომ, საკითხავი იყო, როგორ შეხვდებოდნენ გულშემატკივრები მიოლერის გადმოსვლას და მის არნახულ ხელფასს. მე და მაიერმა ამის გასარკვევად ორსვლიანი გეგმა შევიმუშავეთ.

პირველად ვესტფალის სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივართა დელეგაციას დავეკითხეთ — ვინ გინდათ იხილოთ დორტმუნდში იტალიაში მოთამაშე გერმანელ ლეგიონერთაგან. „საუკეთესო, მიოლერი" იყო მათი პასუხი.

შემდეგ იტალიურ რესტორანში სადილისას კაპიტან მიხაელ ცორკს ვკითხე, რას იტყოდა, თუკი მიოლერი „ბორუსიაში" გადმოვიდოდა. „ის ჩვენ ჩემპიონობას მოგვაპოვებინებს" — მიპასუხა მან.

პრობლემა ამოწურული იყო, მიოლერის წამოყვანა გულმშვიდად შეგვეძლო. ანდრეასი ახალი თაობის პროფესიონალია. თუ მას იძულებებით არ შეაბეზრებ, განუზომელი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ის ხელოვანია, ხელოვანს კი თავისუფლება სჭირდება.

ერთი თვის წინ სეზონისთვის მზადება დავიწყეთ. მანამდე ორი კვირა მეუღლესთან ერთად მალიორკაზე გავატარე. ზღვაში ვბანაობდი და პალმების ჩრდილში ძალებს ვიკრებდი. თან გუნდის ტაქტიკაზე ვფიქრობდი, რაც ძვირად მიჯდება ხოლმე — როცა ფიქრი წამიღებს, თმებს ვიწიწკნი. ამიტომ კეფაზე გავმელოტდი კიდეც.

ჰაიკო ჰერლიხს ჩვენს გუნდში მე-11 ნომერი დავუბევეთ. მას ჩვენთან გადმოსვლა სურს და, ჩემი აზრით, გლადბახის „ბორუსიის" მესვეურებმა ის უნდა გამოუშვან. არ შეიძლება ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდის მოცდენა. მიონხენგლადბახში, როგორც ჰერლიხი ამბობს, ის აღარ ითამაშებს. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მოგვარდება და ჰაიკო შვეიცარიაში ჰორფის საწვრთნელ ბაზაზე შემოგვიერთდება. შვეიცარიაში განახლებული გუნდი დაიბადება. ჩვენთან იქნებიან იურგენ კოლერი, რომელსაც მხოლოდ ნაკრების მოთამაშეები იცნობენ ახლოს, ჩეხი პატრიკ ბერგერი, რომელიც არდადეგებზე გერმანულს სწავლობდა, მეორე ლიგიდან გადმოყვანილი კარსტენ ვოლტერსი.

ტრავმირებულ კარლ-ჰაინც რიდლესთან ერთად მე კიდევ ერთ ადამიანს მოვისაკლისებ — თავდამსხმელ შტეფან შაპიუზას.

არასოდეს დამავიწყდება ის ავადსახსენებელი დღე, როცა შტეფანს ვარჯიშის დროს მუხლის მყესები გაუწყდა. უეფას თასზე რომის „ლაციოს" დამარცხებიდან ორი დღე იყო გასული. მეორე მწვრთნელი მიხაელ ჰენკე შაპიუზას ებრძოდა ბურთისთვის. მოშორებით ვიდექი, ჰენკე არ შეხებია, შაპიუზამ ფეხი უხერხულად დადგა და მყესები გაიწყვიტა. ჩემპიონობის და ტიტულების მოხვეჭის იმედები ერთბაშად დამემსხვრა. მახსოვს, როგორ იდგა ჩემი თანაშემწე შემდეგ გასახდელში და თავის თავს ერთსა და იმავეს ეკითხებოდა: „ვარ კი დამნაშავე შაპიუზას ტრავმაში?" გაზეთებმა დაწერეს, თითქოს ჰენკეს დაეშავებინოს იგი. მან გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მისი განცხადება არ მივიღე. ის უბრალო იყო. გუნდის კრებაზე ფეხბურთელებს განვუცხადე, ვინც თვლის, რომ ჰენკე დამნაშავეა, ახლავე თქვით-მეთქი. მწვრთნელის სიმართლეში ეჭვი არავის შეუტანია.



# მე ეს შევძელი!

შაპიუზას გამოკლება ძნელი გადასატანი იყო. უშტეფანოდ პირველი მატჩი ლივერკუზენთან 0:3 წავაგეთ. რაღაც უნდა მეღონა, გუნდისთვის რწმენა უნდა დამებრუნებინა. სწორი გადაწყვეტილება მივიღე შტუტგარტში თამაში დაცვიდან ავაგე, რამაც მატჩი ფრედ 0:0 დაგვამთავრებინა. ეს სეზონის უმნიშვნელოვანესი თამაში იყო ჩვენთვის. „ბორუსია" ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობდა.

შაპიუზას ხშირად ვურეკავ. ბოლო თამაშის წინ სახლშიც მოვინახულე. მინდა იგრძნოს, რომ ჩვენი გუნდის სრულფასოვანი წევრია. დაბრუნებას ოქტომბრისთვის ვარაუდობს.

ჩემი აზრით, ფორმაში ჩასადგომად უფრო დიდი დრო დასჭირდება. 1992 წელს მეც გავიწყვიტე მყესები და ვიცი, ხანი უნდა გამოხდეს, რომ ორთაბრძოლის შიში გაგიქრეს. ყოველ წვიმიან დღეს ეს ტრავმა თავსაც შეგახსენებს. იმედი მაქვს, შტეფანი მეორე წრისთვის მწყობრში იქნება.

შტეფან ფროინდი ისეთი ფეხბურთელია, რომლისთვისაც თავს არ დავზოგავ. მისი სიძლიერე დაცვაშია. უბადლოა, როცა გამთამაშებელი უნდა გამოთიშოს — მეტოქის ყველაზე მრისხანე იარაღი. თავისი თავდადებით, ბრძოლისუნარიანობით თავი შემაყვარა. მისი დაყენება ყველა ადგილზე შეიძლება, გინდა მარჯვენა, გინდა მარცხენა ფრთაზე. ფროინდს კი საგანგებო დავალებების შესრულებას ნახევარდაცვის ცენტრში ურჩევნია თამაში. მე, როგორც მწვრთნელს, მსურს ჩემი მოთამაშეების ძლიერი მხარეები ოპტიმალურად გამოვიყენო. გამარჯვებისთვის საკუთარი მოსაზრებები და სურვილები ყველამ გვერდზე უნდა გადადოს. ბოხუმთან თამაშისას კნუტ რაინჰარდტის მოედნიდან გაძევების შემდეგ ფროინდს, რომელიც ცენტრში თამაშობდა, შესვენებაზე ვუთხარი: შტეფან ჩვენ ახლა 4-4-1 სისტემით ვითამაშებთ, შენ მარჯვენა ფრთაზე უნდა გადახვიდე." „ყოველთვის მე რატომ უნდა გამოვიდე ნახევარდაცვის ცენტრიდან?" — მკითხა მან. „ჩვენ დაცვა უნდა გავაძლიეროთ და თამაში ახლებურად წარვმართოთ, რადგან ერთი კაცი გვაკლია."

ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა. ის აღარ შემპასუხებია. შესვენებაზე, როცა ასეთი ექსტრემალური ვითარებაა, მწვრთნელი ფეხბურთელისთვის ავტორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. აქ სადისკუსიო დრო აღარაა. ფროინდს ეს ჩინებულად ესმის. ის მუდამ გუნდის სამსახურშია და ამიტომაც ჩემი ტაქტიკური ჩანაფიქრებისთვის განუზომლად საჭირო ფეხბურთელია.

ფეხბურთში, ჩემი აზრით, მოთამაშეთა სამი ტიპია: მორბენალი — შტეფან როიტერის მსგავსი, მუშა — როგორც შტეფან ფროინდი და ხელოვანი — ანდრეას მიოლერი. თუ ფროინდი სპეცდავალებებს ვეღარ შეასრულებდა და მიოლერს ზურგს ვერ გაუმაგრებდა, ჩვენი თამაში ასეთი წარმატებული აღარ იქნებოდა. მებრძოლი გულის წყალობით ის მაყურებელს იყოლიებს. კარსტენ ვოლტერსი იმიტომ ავიყვანეთ, რომ ფროინდს მარჯვენა ფრთაზე ჯირითმა აღარ მოუწიოს, როცა როიტერი გამოგვაკლდება. სწორედ მისი თავდადების გამო ვურჩიე ბერტი ფოგტსს, ეროვნულ ნაკრებში აეყვანა, ამან კი სასიკეთოდ შეცვალა შტეფანის ცხოვრება და თამაში.

კაიზერსლაუტერნთან თასზე თამაშის წინ ფროინდს ორში ერთი უნდა აერჩია — ან მოედანზე გასულიყო, ან წასულიყო სამშობიაროში ცოლთან, რომელიც წუთი წუთზე ბავშვს ელოდებოდა. ორივემ ვიცოდით, რომ იმ დღეს მას კარგი შანსი ეძლეოდა — ამოეკეტა სფორცა და ამით ძირითად შემადგენლობაში დაემკვიდრებინა ადგილი. შტეფანმა თამაში არჩია და დავალებასაც ჩინებულად გაართვა თავი. ახლა „ბორუსია" მის გარეშე წარმოუდგენელია.

ლარს რიკენის მაგალითზე ნათლად ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის, თუ მწვრთნელმა დროულად დააყენა სწორ ადგილზე. მან, ჯერ ასე ჯეელმა, მიიღო მიწვევები ლევერკუზენიდან და „შალკედან". ის დორტმუნდში დარჩა, რადგან იცის, რომ აქ გაიზრდება. აქ 18 წლისა ბევრ ფულს კი ვერ მოიხვეჭს, მაგრამ პერსპექტივა უდიდესი აქვს. სწორედ იმიტომ ვთქვი უარი ხორდი კრუიფის ყიდვაზე, რომ ჰოლანდიელს ლარსისთვის გზა არ გადაეღობა. ნებაც დავრთე, მხოლოდ სამშაბათს და პარასკევს, რადგან დანარჩენ დღეებში სკოლაში დადის, ის კი მადლობას მიხდის კარგი თამაშით და გოლებით, რომლებიც ჩემპიონობის მოპოვებაში შეგვეწია.

ფიქრობენ კი ჩემნაირად საფეხბურთო მენეჯერები? სამწუხაროდ, ისინი ხშირად ფინანსურ მხარეს უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე სპორტულს. დღეს ასეთი ვითარებაა: თუკი ფეხბურთელმა ორი სიტყვა SAT.1-ს უთხრა, მან RTL-ს, ARD-ს, ZDF-ს, DSF-საც უნდა მისცეს ინტერვიუ, ვარჯიშის დრო კი ამასობაში იწურება. მენეჯერებისაგან მეტ დაფიქრებას მოვითხოვ. ვფიქრობ, ისეთი ფეხბურთელებით, როგორიც ლარს რიკენია, „ბორუსია" მომავალს აიშენებდა.

ჩემპიონთა ლიგა. ამ სიტყვების გაგონებისას მაგიური ძალა მემატება, ვგრძნობ, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ და ვამბობთ, ჩემპიონთა ლიგით არის გაჯღენთილი. ფეხბურთელები მსჯელობენ შესაძლო მეტოქეებზე შესარჩევ წრეში. RTL-ი ინფორმაციას აგროვებს ჩვენზე პირველი ექვსი რეპორტაჟისთვის, რომელთაც ფრანც ბეკენბაუერი გაუძღვება. 11 აგვისტოს კი ჩემპიონატი იწყება და ძალიან რთული სეზონი მოგველის.

უნდა განვთავისუფლდეთ იმ არასწორი აზრისგან, რომ იურგენ კოლერის, პატრიკ ბერგერის და ჰაიკო ჰერლიხის მიღების მერე ტიტულის დაცვა იოლი საქმე იქნება. კაიზერსლაუტერნთან შინ თამაშამდე მე ნაიდაგ ერთს გავუმეორებ ფეხბურთელებს: „ჩემპიონობა დასაწყისი იყო, ის სტარტი უნდა იყოს ამ ტიტულის კვლავ მოსაპოვებლად. ჩვენ წარმატება უნდა გვშიოდეს."

ხალხმაც მხარი უნდა დაგვიჭიროს. ბოლო სამი წელია, ჩვენი გულშემატკივარი მიეჩვია, რომ ჩვენ ქულებს ბუნდესლიგის ნებისმიერ გუნდთან ვიღებთ და ყველაზე მეტჯერ ვთამაშობთ ევროპულ ტურნირებში. ეს თავისთავად არ მოდის. მახსოვს, როგორ გვისტვენდნენ და გვლანძღავდნენ, როცა ვესტფალენის სტადიონზე ფრანკფურტთან 1:1 ვითამაშეთ.

საფინალო სასტვენის შემდეგ ფეხბურთელები თავჩაქინდრული ისხდნენ გასახდელში. [illegible] დავიწყდა, რა საოცრად ჩამოტარდა პირველი წრე? მენეჯერმა მიხაელ მაიერმა „შპორტ-ბილდის" მეშვეობით მაყურებელს მიმართა. ამან ნაყოფი გამოიღო. ლევერკუზენთან 0:3 დამარცხების შემდეგ ყველა მხარში ამოგვიდგა. თუ ამ სეზონშიც ასე იქნება, ორ კურდღელს დავიჭერთ, სახლში დაუმარცხებელნი შევიქნებით და ჩემპიონთა ლიგაში მეოთხედფინალს მივაღწევთ.

პატარა დეტალებსაც კი მნიშვნელობა აქვს. შტეფან როიტერს დუისბურგისთვის ორი გოლი რომ არ გაეტანა, ჩვენ ახლა ჩემპიონები ვერ ვიქნებოდით. მისი გოლები შემთხვევითი არ იყო, გუნდის შეთამაშების ლოგიკური შედეგი გახლდათ. 1992 წელს შტეფანს მუხლის მყესები გაუწყდა. ჩვეულებრივ, ეს კარიერის დასასრულს ნიშნავს, მაგრამ ასეთი დრამატული ფინალი მაინც ავირიდეთ — გუნდის ექიმმა ახიმ ბუშერმა, ფიზიოთერაპევტებმა ფრანკ ციოლნერმა და პეტერ კუნტმა როიტერს საუცხოო აღმდგენი პროგრამა დაუნიშნეს და შტეფანი ფეხბურთს დაუბრუნეს.

მეორე წრე როიტერმა ალმავლობით ითამაშა, რაც მისმა ახალმა როლმა განაპირობა. ზამთრის შესვენების შემდეგ ის უკან, მარჯვენა ფრთაზე დავხიე, რითაც მას მოედნის სიღრმიდან შეაქვს დინამიურობა ჩვენს თამაშში. როიტერი გუნდში დაფასებული კაცია, ბევრი მოთამაშე მას რჩევასაც ეკითხება, პირად ცხოვრებაში რომ გამოადგება.

რა წაადგება გუნდს? ამაზე ხშირად ვფიქრობ — რა გავაკეთე სწორად და რა არა. ჩემზე ამბობენ, ყველაფერს განრიგის მიხედვით აკეთებს, კვებასაც კი წერილობით უგეგმავს ფეხბურთელებსო. უნდა ვთქვა: მე არცთუ ისეთი საშინელი დიქტატორი ვარ. თამაშის წინა დღეს მოთამაშეებს შეუძლიათ შემწვარი ბატი მიირთვან და კოკა-კოლა (რომლის მავნებლობაზეც ამდენს ლაპარაკობენ) და ბანანის ნაყინი დააყოლონ. ფეხბურთელს არ დავუშლი, თუ ჩემი თანდასწრებით სიგარეტს გააბოლებს, გასახდელში ან გუნდთან ერთად ავტობუსში კი მოწევა ეკრძალებათ.

რა არის სწორი და რა არა? როგორც მწვრთნელი, მუდამ ამას ვეკითხები ჩემს თავს. წინა სეზონში ნაკრების მეკარის ანდრეას კეპკეს გადმოყვანა გვინდოდა, მაგრამ ეს ჩვენი მეკარის შტეფან კლოსის კარიერის დასასრულის მომასწავებელი იქნებოდა. ამბიციურ გუნდს ოდენ მოთამაშის ნიჭიერება არ აკმაყოფილებს, მას ისეთი ადამიანები სჭირდება, რომლებიც წარმატებას მოუტანენ. მაინც შტეფან კლოსი ვირჩიე და არც შევმცდარვარ. მის მასწავლებლად კიოლნელი მეკარე — ლეგენდა ტონი შუმახერი მოვიწვიეთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ კლოსი გამიმართლებდა და ასეც მოხდა — სეზონში ყველაზე ცოტა გოლი გავუშვით. ეს ჩვენი მეკარის დამსახურებაა.

ახალი ფეხბურთელების მოსვლა იმასაც მაფიქრებინებს, რომ „ბორუსია" თამაშიდან თამაშამდე ახლდება. განსაკუთრებით დაცვაში. მე სპეციალურად არ ვამბობ, რომ ეს ოთხკაციანი ჯაჭვური სისტემა იქნება. ეს ჩემი ჩანაფიქრის არსს არ გამოხატავს. ჩემს გეგმას ჟულიო სეზარითა და იურგენ კოლერით დაცვის ცენტრში მე „ფლექსიურ დაცვის ხაზს" ვუწოდებდი. გუნდის კრებებზე ამ ტაქტიკას ვამუშავებთ.

შეიძლება ისე მოხდეს, რომ დაცვის ჯაჭვში სამი, ოთხი ან, შესაძლოა, ხუთი ფეხბურთელიც კი გვყავდეს. ერთი რამ კი ნაღდად არ მოხდება: მათიას ზამერი, როგორც ლიბერო, დაცვის უკან აღარ იდგება. მე მას დაცვასა და ნახევარდაცვას შორის დავაყენებ. ორი კიდურა მცველი „ხვრელების ამოვსებით" დაკავდება. ერთი შეხედვით, ეს ოთხკაციანი დაცვის სისტემაა. ოთხი ფეხბურთელი ზონას იცავს. ჟულიო სეზარი და იურგენ კოლერი თვალდახუჭულები უგებენ ერთმანეთს ტურინის „იუვენტუსიდან" მოყოლებული, თანაც ორივეს შეუძლია ლიბეროს მოვალეობის შესრულება. მათიას ზამერი უკან დაიწევს ხოლმე და ამით ხუთკაციან ჯაჭვს შექმნის. ამ ჩემმა „ფლექსიურმა დაცვის ხაზმა" უნდა გაგვიმართლოს. თანამედროვეა თუ არა ეს სისტემა? ჩემი აზრით, ყველაფერი თანამედროვეა, რასაც წარმატების მოტანა შეუძლია.

ასევე იქნება ნახევარდაცვაშიც. მიხაელ ცორკი უკან დახეულს ითამაშებს, ამით ანდრეას მიოლერს შეეძლება გულდამშვიდებულმა წარმართოს შეტევები. მარცხენა ფრთაზე პატრიკ ბერგერი ითამაშებს და ჩეხ მაყურებელს დიდ სიხარულსაც მიანიჭებს — ის ერთნაირად ძლიერად ურტყამს ორივე ფეხით, აქტიურად ეხმარება თავდასხმას, გააქვს გოლები.

თავდასხმისთვის ორ მოთამაშეს ჯერ კიდევ ვეძებ. ლარს რიკენს ან იბრაჰიმ ტანკოს დაუმატეთ ანდრეას მიოლერი და პატრიკ ბერგერი, მიხაელ ცორკი, რომელიც მუდამ მზადაა წინ გასაჭრელად და გოლის გასატანად. „ბორუსიაში" ხუთი ფეხბურთელი იქნება შეტევაში.

ვართ კი ჩვენ ფავორიტები? არა, არსებობს მხოლოდ ერთი ფავორიტი — მიუნხენის „ბაიერნი". მან საოცრად კარგი ფეხბურთელები შეიძინა და ამით, ისედაც ძლიერი, უჩვეულოდ გაძლიერდა. მას მერე ვიქნებით ჩვენ, კაიზერსლაუტერნი და ბრემენის „ვერდერი". თავის სიტყვას იტყვიან შტუტგარტი, ლევერკუზენი, ფრაიბურგი, მიონხენგლადბახი, კარლსრუე და კიდევ ერთი გუნდი, რომლის სახელიც ჯერჯერობით არ ვიცი.

ბუნდესლიგის სეზონის დაწყება ძალიან მახარებს. ესეც მალე გაიფრენს და კვლავაც ღირსეული გახდება ჩემპიონი. როცა პირველ ადგილზე გავედით, მოსალოცები მთელი გერმანიიდან მოდიოდა. იმედი მაქვს, ბატონო მკითხველებო, რომ უკეთ გაგვიცანით კლუბი, ფეხბურთელები და მე.

თარგმნა ერეკლე კიკილაშვილმა.

# და მაინც ბჟუტავს...

„ფარიკაობა" — ამ სიტყვის გაგონებაზე უნებურად იარაღის ჟღარუნი მოგესმის. ჩვენშიც გაიგებ ამ ხმას, მაგრამ ყრუდლა, ჯერ კიდევ... მინავლებულს.

ისტორიულად ფარიკაობა, როგორც რაპირისა და დაშნის ხმარების ხელოვნება, ესპანეთში დაიბადა XVI საუკუნეში და ამ სიახლემ უმალ მოიკიდა ფეხი ინგლისში, გერმანიაში, იტალიასა და საფრანგეთში.

შუა საუკუნეებში ფარიკაობა მხოლოდ არისტოკრატიის წარმომადგენელთათვის იყო ხელმისაწვდომი, პრესტიჟული და სავალდებულო. ამიტომაც ითვლებოდა და დღემდეც ითვლება ინტელიგენტურ და ინტელექტუალურ სახეობად.

XVII საუკუნის ბოლოდან ფრანგები სხვებზე მეტად ხვეწდნენ ფარიკაობას, XVIII საუკუნის დამდეგიდანვე კი მათი სკოლა სხვებისას სჯობს და საფრანგეთი ფარიკაობის განვითარების სამთელქვეყნო კერა ხდება. 1896 წელს ათენში, I ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის სხვა სახეობებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მოფარიკავეთა შეჯიბრსაც, რომელიც, ფაქტიურად, პირველი მსოფლიო ჩემპიონატიც გახლდათ.

ქართველ კაცს ისტორიამ ხმალი განუყრელ იარაღად უქცია, ამიტომაც, რა გასაკვირი იყო, რომ სპორტის კლასიკური სახეობებიდან ფარიკაობამ ადრევე და მტკიცედ მოიკიდა ფეხი.

მისი გავრცელების კერას თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია წარმოადგენდა, რომლის მოსწავლეები ჯერ კიდევ 1887 წელს ეზიარნენ საფარიკაო ხელოვნებას.

1894 წელს კი თბილისში გადამდგარი ოფიცრის პეტრე სალტიკოვის თაოსნობით დაარსდა ფარიკაობის მოყვარულთა წრე. 1900 წელს მანვე გახსნა საფარიკაო დარბაზი. შემდგომ თბილისში ფარიკაობაში დახელოვნებული ახალგაზრდა ოფიცრის ლევ გოლოვნიას თაოსნობითაც ამოქმედდა მსგავსი წრეები.

ომის შემდეგ ლევ გოლოვნიას, ანატოლი ფედოროვის, შოთა დარასელიას, ტრიფონ მესხის, აკაკი მეიფარიანის და სხვათა გარჯის წყალობით დგება ის „ოქროს ხანა", რომელიც ასე ამშვენებს ჩვენი ფარიკაობის ისტორიას.

რევაზ ცირეკიძე — პირველი ქართველი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, პირველი საბჭოთა დაშნით მოფარიკავე, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა.

ყველა წარმატების მიუხედავად, მაინც „უიღბლო სპორტსმენად" წოდებული იური ოსიპოვი.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების ბრინჯაოს მედალოსანი გურამ კოსტავა.

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატების ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი, ნებისყოფისა და სიმტკიცის სიმბოლო, ნუგზარ ასათიანი.

მორის სახვაძე, გივი ანდრიაძე, გურამ ლორთქიფანიძე, ძმები გოგელიები, ჯულიეტა გიორგაძე, მაყვალა კოხრეიძე...

სულ ბოლოს, უკანასკნელი მოჰიკანივით, სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვლადიმერ აფციაური.

ნუთუ შეიძლება, ასეთი ძირმტკიცე საქმე ერთი ხელის დაკვრით მოიშალოს? ესოდენი ჯაფითა და ზაკვით შექმნილი ასეთი ისტორია მხოლოდ უგულისყურობის გამო წარსულს ჩაბარდეს? რა თქმა უნდა, არა.

ოლიმპიური რეზერვების ფარიკაობის სპორტსკოლა...

ჩამსხვრეული მინები და სარკეები, უსუსურად მომზირალი სამიზნეები. ერთ დღეს შეიძლება კედლებიც კი ჩამოიშალოს. შველას ითხოვს ფარიკაობის ეს უკანასკნელი მფეთქავი ძარღვი. ვის მივმართოთ? სპორტის დეპარტამენტს უჭირს, მთავრობასაც, მოგეხსენებათ, თავზე საყრელი აქვს საქმე და ასეთი „უმნიშვნელო" პრობლემებისთვის სად სცალია, ფედერაციას, რა თქმა უნდა, სახსრები არა აქვს... მოკლედ, ყველგან დუმილი და არსაიდან ხსნა...

ყველაფრის მიუხედავად, დარბაზში რამდენიმე მწვრთნელი კვლავ ასწავლის თვალებგაფართოებულ პატარებს ფარიკაობის ანბანს, მაგრამ გაჰყვებათ კი დიდხანს მათ ეს ენთუზიაზმი?!

დიდი სპორტი ბავშვთა სპორტით იწყება. ამ მხრივ ჩვენს ფარიკაობაში სავალალო მდგომარეობაა.

თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების ფარიკაობის სპორტსკოლის დირექტორი ლუდვიგ ლალანიძე:

— აუცილებელია პერსპექტიული მოფარიკავეების მონაწილეობა ისეთ ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში მაინც, როგორებიცაა კადეტებისა და იუნიორების მსოფლიო, იუნიორების ევროპის პირველობები. თუ სპორტსმენმა ეს ეტაპი არ გაიარა, დიდ სპორტზე ოცნებაც კი უაზრობაა და თუ ასე გაგრძელდა, საქართველო დაკარგავს იმ ტრადიციებს, რომელიც ამ 50 წლის მანძილზე შეიქმნა.

ფარიკაობა სპორტის ტექნიკური სახეობაა და შეჯიბრებებში მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ შეჯიბრი აყალიბებს მონდომებულ მოზარდს დიდ სპორტსმენად.

ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მორის სახვაძემ კი გვითხრა:

— ბოლო სამი-ოთხი წელია, ჩვენი ნაკრები პრაქტიკულად არც ერთ შეჯიბრზე არ გასულა, ადგილობრივ ჩემპიონატებს კი წელიწადში ერთს ძლივს ვატარებთ. ერთი წლის წინ ნაკრების კანდიდატებს სტიპენდიებს ვაძლევდით, ახლა ამის საშუალებაც აღარ არის. მწვრთნელთა ხელფასიც ხომ სიმბოლურია. რომ არა საქმის დიდი სიყვარული, ერთი მწვრთნელიც კი აღარ დარჩებოდა დარბაზში.

— აკმაყოფილებს თუ არა სავარჯიშო პირობები მინიმალურ მოთხოვნილებებს მაინც?

— გეტყვით და თავად განსაჯეთ, რა პირობებიც ეს არის: გასარემონტებელია დარბაზი, ბოლო 5 წლის მანძილზე ფორმაინვენტარი რა არის, არ ვიცით, ძველი კი უკვე უვარგისია სახმარად. ცხელ წყალზე და გათბობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ზაფხულში კიდევ რალაცას ვახერხებთ, ზამთარში კი დარბაზში შესვლაც აუტანელია.

საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ფარიკაობას სახელმწიფო პატრონობს და ამიტომაც შედეგებიც სათანადო აქვთ. პოლონეთის ფარიკაობის ფედერაციას სახელმწიფო წელიწადში 800 000 დოლარს უყოფს და ეს მაგალითი სულაც არ გახლავთ გამონაკლისი. ჩვენთან თუ დადგება ის დრო, ვინმე რომ შემოგვეშველება, დაგვეხმარება, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან. ქართულ გენს ძალუძს თავისი სიტყვის თქმა ფარიკაობაში და თუ მომხედავი გამოგვიჩნდა, ტრადიციებს უეჭველად გავაგრძელებთ.

აულელვებლად მართლაც ვერ შეხედავ ამ სურათს — სავალალო მდგომარეობაში მყოფ ქართულ ფარიკაობას. იმედი ბოლოს კვდებაო და, იმედის მბჟუტავი ნაპერწკალი კიდევ ასულდგმულებთ ქართველ მოფარიკავეებს, თუმცა როდემდე...

ხათუნა ჭუმბურიძე



# გზანი შოტო კანისანი

შოტო კანი სიტო რიუსთან, გოჯუ რიუსთან და ვადო რიუსთან ერთად კარატეს უმთავრესი სტილია. საქართველოში ყველაზე მაღალი ხარისხის — მეხუთე დანის მფლობელი ბატონი ზურაბ ლეჟავა სწორედ შოტო კანის წარმომადგენელია. შიტო კანს მისდევს უკვე 17 წელია კახა ბასილიაც, რომელიც ლვოვში სწავლობდა და ბულგარელ, ჩეხოსლოვაკ და პოლონელ კარატისტებთან ერთად ეუფლებოდა კარატეს ხელოვნებას. კახამ ლვოვშივე ჩამოაყალიბა აღმოსავლურ ორთაბრძოლათა ასოციაცია და მეორე წელსვე უკრაინის ნაკრების სახელით სსრკ ჩემპიონიც გახდა. შემდეგ უკრაინის სამხედრო ორთაბრძოლების ფედერაციაც ჩამოუყალიბებია, მერე კი უნგრეთში გამართულ შოტოკან კარატე დოს მსოფლიო ჩემპიონატშიც ისახელა თავი.

— 1990 წლის მარტში საქართველოს კარატისტთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. გუნდში მეც ვიყავი. მაშინ, როგორც კარატეს ინსტრუქტორსა და ორგანიზატორს, კარატეს პოპულარიზაციაც მევალებოდა. 1992 წელს რუმინეთში მოწყობილ საერთაშორისო სემინარში ვმონაწილეობდი. სათანადო გამოცდის შემდეგ მსოფლიოს შოტოკან კარატე დოს ფედერაციის მთავარმა ინსტრუქტორმა II დანი მომანიჭა...

კახა ბასილიამ მერე მოსკოვს მიაშურა და აქაც დიდი ენთუზიაზმით მოეკიდა საქმეს. მსოფლიოს კარატე-დოს მთავარი ინსტრუქტორის კიტოში კასუის რეკომენდაციით, აღმოსავლეთ ევროპის შოტოკან კარატე-დოს ასოციაცია შექმნა. 1994 წელს, ევროპის ჩემპიონატში, ურთულეს სახეობაში „ჯიუ კუმიტე" (თავისუფალი ორთაბრძოლა), მსაჯების მიკერძოებისა და მძიმე ტრავმის გამო მესამე ადგილი დაიკავა...

მერე იყო მოსკოვის დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ევროპის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. მთავარი მსაჯი იყო კარატეს ერთ-ერთი ფუძემდებელი, 9-დანის მფლობელი [illegible]. [illegible] მაშინ ჩემპიონი გახდა ქართველი კარატისტი... გიორგი უგრეხელიძე. წელს ივნისის დამდეგს მოსკოვის სემინარზე, მსოფლიო შოტოკან კარატე დოს მთავარმა ინსტრუქტორმა, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა და მეშვიდე დანის მფლობელმა კიტოში კასუიმ კახა ბასილიას მეოთხე დანა მიანიჭა.

აგვისტოს ბოლოს კახა იაპონიის ღია ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას, ოქტომბერში კი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მექსიკაში გაემგზავრება მსოფლიოს ჩემპიონატზე.



ხელბურთი

# ჯერ გაი ხარეს, მერე...

ვაჟთა სახელბურთო ევროთასების წილისყრამ საქართველოს ჩემპიონი — ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი ჯერ საკმაოდ გაახარა, მერე კი არანაკლებ დაადარდიანა. განგებამ სტუ-ს შესარჩევ წრეში მეტოქედ ესტონეთის უცვლელი ჩემპიონი „კეპრა" არგუნა. საერთო აზრით, ტალინელი ხელბურთელები ჩვენებისთვის დაუძლეველ წინაღობად არ უნდა იქცნენ. დამწუხრების მიზეზი კი ისაა, რომ წარმატების შემთხვევაში სტუ ევროპის თასების თასის მფლობელს „ბარსელონას" „დაეჯახება". ბუნებრივია, ესპანელებთან წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია.

მიუხედავად ამისა, გუნდი ინტენსიურად ემზადება კარს მომდგარი სეზონისთვის. წლევანდელი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ბიჭებმა სულ ხუთიოდე დღე დაისვენეს და ისევ განაახლეს ვარჯიში. შემდეგ ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც სწორედ სტუ-ს ბაზაზეა დაკომპლექტებული, ორკვირიან შეკრებაზე იყვნენ ურეკში. ახლა გლდანში, ხელბურთის სპეციალიზირებულ სკოლაში აქვთ შეკრება, კვირაში ორჯერ კი სპორტის სასახლეში ატარებენ ორმხრივ თამაშებს. სადღეისოდ 18 ხელბურთელი გადის წვრთნას.

გუშინდელი ვარჯიშის წინ გავესაუბრეთ გუნდის უფროსს ზურაბ კეკელიძეს:

— უპირველესად, რა იცით „კეპრაზე"?

— ვიცით, რომ გუნდი დაკომპლექტებულია გამოცდილი მოთამაშეებით, რომლებიც წლების მანძილზე ასპარეზობდნენ საბჭოთა კავშირის პირველ ლიგაში. როგორც ტალინელთა მწვრთნელმა, ყოფილმა მეკარემ იური ლეეპმ გვითხრა, თბილისში თითქმის ყველანი არიან ნამყოფნი და ზოგს უთამაშნია კიდეც. პრობლემა ისაა, რომ ტალინში მატჩი ემთხვევა პარიზში „მასტერსის" მეტად პრესტიჟული ტურნირის ვადებს, სადაც ჩვენი გუნდია სათამაშოდ მიწვეული. ამიტომ ესტონელებს ვთხოვეთ შეხვედრის სამი-ოთხი დღით ადრე გამართვა. დღეს-ხვალ ყველაფერი გაირკვევა. თუ ესტონელები ჩვენს შეთავაზებას იუარებენ და მაინცდამაინც ევროპის ხელბურთის ფედერაციის მიერ დადგენილ ვადებზე გაჯიქდებიან (2 სექტემბერს ტალინში და 9-ში თბილისში), მაშინ პარიზში ვეღარ წავალთ.

— შემადგენლობაში თუ არის ცვლილებები?

— ოჯახური მიზეზით გუნდიდან წავიდა ზურაბ ურუშაძე, მის ადგილს დაიკავებს გერმანიიდან მობრუნებული მამუკა შენგელია. დაბრუნდა მეკარე ოლეგ მასიუკოვი, რომელიც შარშან ფოთის „ოქროს ვერძში" გამოდიოდა. ჩვენს გუნდში თამაშის სურვილი გამოთქვეს ტიტე კალანდაძემ და ტანმაღალმა (206 სმ) მცველმა გია თხილავამ. ახლა ორივე ემზადება ესტონელებთან სათამაშოდ. გეგმები საკმაოდ დიდი გვაქვს და უცხოეთიდან მოწვევებიც საკმაოა, მაგრამ ყველაფერს ვერ ვწვდებით, რადგან კლუბი პრაქტიკულად მარტოა უზარმაზარი ხარჯების წინაშე. ახლაც გვიჭირდა და ამიტომ კლუბის ხელმძღვანელობის სახელით მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ პირს, ვინც და ორგანიზაციას, მხარში დაგვიდგა და გვეხმარება, რითაც შეუძლია.

გია ახალაძე

რაგბი

# სამ ჯგუფად გადანაწილდნენ

| საქართველოს პირველობა | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მეორე ჯგუფი | | | | | | | |
| 4.VIII: დელფინები (ბათუმი) 6 (3) (2ს) — დინამო 21 (8) (3ლ, 2ს) | | | | | | | |
| 9.VIII: გელათი (ქუთაისი) 16 (3) (ლ, გ, 2ს, ა) — უნივერსიტეტი 0 | | | | | | | |
| | მ | ფ | წ | - | ბ | ლ | ქ |
| რაში | 10 | 1 | 2 | 1 | 140: 82 | 13- 9 | 20 |
| ლელო | 9 | 1 | 3 | 1 | 192:156 | 20-17 | 18 |
| დინამო | 8 | 1 | 5 | - | 175:125 | 24-11 | 17 |
| გელათი | 9 | 0 | 4 | 1 | 144: 92 | 10- 9 | 17 |
| უნივერს. | 6 | 3 | 5 | - | 94:153 | 12-15 | 15 |
| ყოჩები II | 2 | 2 | 10 | - | 147:234 | 15-33 | 6 |
| აკადემია | 4 | 0 | 7 | 3 | 118:151 | 15-15 | 5 |
| დელფინ. | 4 | 0 | 7 | 3 | 138:159 | 17-17 | 5 |

გაიმართა ბოლო ორი გამოტოვებული თამაში და გაირკვა მეორე ეტაპის სამივე ჯგუფის შემადგენლობა.

დიდი ოთხეული: „აია" (18 ქულა), „გუმარი" (16), „თბილისი" (12), „ყოჩები" (10)

შუა ექვსეული: „აზოტი", „აიეტი", „რაში", „ლელო", „დინამო" და „გელათი" (ამათ აქამდე დაგროვილი ქულები აღარ ეთვლებათ)

ბოლო ოთხეული: „უნივერსიტეტი" (15), „ყოჩები" II (6), „აკადემია" (5), „დელფინები" (5)

დიდი ოთხეული ჩემპიონის გამოსავლენად კიდევ ოთხ წრეს გამართავს. დანარჩენ ორ ჯგუფში ორ-ორი წრე გაიმართება. ამათგან არსებითია ექვსეულის შეჯიბრი, რომლის სამი მოწინავე საგაისოდ პირდაპირ გადავა პირველ ჯგუფში, მეოთხე გუნდს კი საამისოდ შეიძლება რომელიმე ახალ გუნდთან მოუწიოს შეჯიბრება.



# საშვიდკაცოდ ალბათ დუბაის მიგვავლენენ



საქართველოს რაგბის კავშირმა მიწვევის მიღებისთანავე, მაისშივე დაუდასტურა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ), რომ ჩვენი ნაკრები ჩაებმება შვიდკაცას მეორე მსოფლიო თასში, რომლის დასკვნითი სტადიაც 1997 წლის 22-23 მარტს ჰონკონგში უნდა გაიმართოს. იქ 24 ქვეყნის მოშვიდკაცეები მოიყრიან თავს. სამი გუნდის ვინაობა ახლავე ცნობილი: მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისი, ვიცე-ჩემპიონი ავსტრალია და მასპინძელი ჰონკონგი შეურჩევლად არიან დაპატიჟებული.

დანარჩენი 21 ადგილის შესავსებად სამი შესარჩევი შეჯიბრი გაიმართება: პორტუგალიაში (1996 წლის ივნისში), არაბთა საამიროებში (1996 წლის ნოემბერში) და ურუგვაიში (1997 წლის იანვარში).

ორგანიზატორებს გადაუწყვეტიათ, რომ შვიდკაცას კარგად მოთამაშე გუნდები ისე განთესონ, რომ თითო შესარჩევ შეჯიბრში მსოფლიოს სულ სხვადასხვა რეგიონიდან მოხვდნენ ბობოლები. ასე, მაგალითად, შესაძლებელია, რომ ურუგვაიში გაამწესონ სათამაშოდ ფიჯი, შოტლანდია, კანადა და მისთანანი.

სუსტ ანაც უცნობ გუნდებს თავის რეგიონს მიღმა, ალბათ, არავინ გააგზავნის. ამიტომ საფიქრებელია, რომ საქართველოს თავს უკრავენ საამიროებში, სადაც შვიდკაცა **დუბაის ქვიშრობზე** იმართება. ზღვისრეთის, ევროპისა და ამერიკის საგანგებოდ შერჩეული ბობოლების გარდა, ჩვენებს ალბათ აღმ. აზიისა და აფრიკის გუნდებთან მოუწევთ შეჯიბრება სანუკვარ მოწინავე შვიდეულში მოსახვედრად.

# მე პატარა ქართველი ვარ



პავლე კურტანიძე

ეროვნულ სტადიონზე ახლახან გამართული შეჯიბრი კუნ-ფუში თვით ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა ჩინელმა ლი მაო სენმა დააფასა.

ექვს გუნდს შორის საპრიზო ადგილების ოდენობით ყველას შავი ქამრის მფლობელის მიხეილ ახალკაცის შეგირდებმა აჯობეს: საშა პეტრინმა, სოსო და გიორგი საბანოვებმა და გოგიტა გოგიტაშვილმა I ადგილები დაიკავეს, ლადო სიჭინავამ და დათო კობახიძემ — II, შოთიკო შეთეკაურმა, ვახტანგ მაისურაძემ და ბაკურ ბულაცაშვილმა — III

ყველაზე დიდი მოწონება კი დაიმსახურა შეჯიბრების ყველაზე პატარა მონაწილემ, 5 წლის პავლე კურტანიძემ, რომელსაც მიხეილ ახალკაცი 4 წლიდან ავარჯიშებს. პატარა ქართველ კუნფუისტს საპატიო ჩინელმა სტუმარმა საგანგებო საჩუქარიც გადასცა.

# უცხოური სპორტის სარბიელი

გაზეთ „სარბიელის“ ყოველთვიური დამატება-დაიჯესტი № 2 აგვისტო, 1995 ფასი 1500 მან ან ფარდი კუპ


ეროვნული ბიბლიოთეკა

**უკვე იყიდება «სარბიელის» ყოველთვიური დამატება-დაიჯესტის მეორე გამოშვება, სადაც სპორტის მოყვარულთ ინგლისური, ესპანური, ფრანგული, გერმანული ამერიკული და თვით სამხრეთაფრიკული ჟურნალ-გაზეთებიდან ნათარგმანევი წერილები მოვუმზადეთ**

**ნუ დატოვებთ წაუკითხავს, ყოველი მომდევნო ნომერი წინაზე საინტერესო იქნება!**



**მიქაელ ლაუდრუპი ხუთგზის ჩემპიონი**



**ჯორჯ ბესტი საუკეთესო მამაკაცია!**

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11.VIV | ვერდერი - ფორტუნა | 1.15 | 3,2 | 6,5 |
| | დოტმუნდი - კაიზერსლაუტერნი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| | შტუტგარტი - ურდინგენი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| 12.VIV | კიოლნი - შალკე | 1.6 | 2,6 | 3,6 |
| | აინტრახტი - კარლსრუე | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| | როსტოკი - ლევერკუზენი | 2,8 | 2,8 | 1,7 |
| | ბაიერნი - ჰამბურგი | 1,1 | 3,3 | 7,0 |
| | სანქტპაულო - ბაიერნი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| 13.VIII | მიონხენგლადბახი - ფრაიბურგი | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| | ინგლისის სუპერთასი | | | |
| 13.VIII | ბლექბერნი - ევერტონი | 1,4 | 3,2 | 3,6 |
| | თურქეთის ჩემპიონატი | | | |
| 11.VIII | ისტამბულსპორი - ესკიშეპირსპორი | 1,2 | 3,2 | 5,6 |
| 12.VIII | გენჩლერბერლიგი - კოჩაელისპორი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| 13.VIII | ტრაბზონსპორი - ანკარაგიუჯუ | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| | ამხანაგური მატჩები | | | |
| 11.VIII | ინტერი - PSV ეინდჰოვენი (ლივორნო) | 1,3 | 3,2 | 4,4 |
| 12.VIII | ჯენოა - ნოტინგემ ფორესტი | 1,6 | 2,7 | 3,4 |

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის „გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 1000 მანეთი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარილზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ვეღარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (1 000 მანეთი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 14-დან 17 საათამდე სასტუმრო „აჭარის“ ფოიეში.

# X ეტაპი

13 აგვისტო. „უნგრეთის გრან-პრი“.
ავტოდრომი „ჰუნგარორინგი“

წრის სიგრძე 3968 მ. 77 წრე— 305,4 კმ
სიჩქარის რეკორდი წრეზე—182,4 კმ-სთ (ნაიჯელ მენსელი, „უილიამსი“, 1992)



ბოლო 5 რბოლის პრიზიორები:

1994 მიხაელ შუმახერი („ბენეტონი“ — საშუალო სიჩქარე 169,7 კმ-სთ), დეიმონ ჰილი, იოს ფერსტაფენი.
1993 ჰილი („უილიამსი“, 170,3), რიკარდო პატრეზე, გერჰარდ ბერგერი.
1992 აირტონ სენა („მაკლარენი“ — 174,4), ნაიჯელ მენსელი, ბერგერი
1991 სენა („მაკლარენი“ — 167,9), მენსელი, პატრეზე
1990 ტერი ბუტსენი („უილიამსი“ — 167,4), სენა, ნელსონ პიკე.

უნგრეთის „გრან-პრი“ ერთ-ერთი, „უმრწამესთაგანია“ ფორმულაში — ზეგინდელი რბოლა მხოლოდ მეათე იქნება. პირველი დიდი პრიზი 1986 წელს ბრაზილიელმა ნელსონ პიკემ მოიგო „უილიამსით“. უცხო ტრასაზე პილოტები ისე ფრთხილობდნენ, რეგლამენტით გათვალისწინებულ ორ საათში ვერ ჩაეტივნენ და რბოლაც ერთი წრით ადრე შეწყდა, როგორც კი ლიმიტი ამოიწურა.

ბუდაპეშტის განაპირას მოწყობილი „ჰუნგარორინგის“ ოთხკილომეტრიანი წრე ლამის ყველაზე უსაფრთხოცაა. ეს ტრასის დამპროექტებელთა წინდახედულობისა და სიფრთხილის შედეგია ისეთი მიხვეულ-მოხვეული გზა გაიყვანეს, გასწრებაც ერთობ ძნელია და არც სიჩქარეა მაღალი. მთელ ტრასაზე სულ ორი მონაკვეთია ისეთი, სადაც მაქსიმალური, მეექვსე სიჩქარის გამოყენებაა შესაძლებელი. ამიტომაც, სიჩქარის რეკორდმა ვერაფრით უწია 200. კმ-სთ. დღემდე, ორი წლის წინანდელი კვალიფიკაციისას ყველაზე სწრაფად აქ გაიქროლა ალენ პროსტის „უილიამსმა“ 191,4 კმ-სთ.

უნგრეთის „გრან-პრიზე“ ოთხჯერ გაიმარჯვეს „უილიამსის“ პილოტებმა, სამჯერ - „მაკლარენის“, თითოჯერ — „ფერარისა“ და „ბენეტონის“.

თავიდან „ჰუნგარორინგმა“ შვიდი წლით მიიღო რბოლის ჩატარების ლიცენზია, მერე კიდევ ორი წლით გაუგრძელეს. წლევანდელი რბოლა კალენდარში არ „იჯდა“ და სათადარიგოდ ითვლებოდა. ძნელი სათქმელია, როგორ გაჩარხეს საქმე უნგრელებმა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციაში, ფაქტი კი ესაა - მათი „დიდი პრიზი“ ჩემპიონატში დამატებით, მე-17 რბოლად ჩართეს. ამდენი კი მხოლოდ ერთხელ — 1977 წელს იყო.

მძლეოსნობა

# ედვარდსის ორმაგი მსოფლიო რეკორდი

## ჯონსონი იშვიათ დუბლს შეიძენებს

29 წლის ბრიტანელი სამხტომელი ედვარდსი აღარ ხუმრობს — ამ ზაფხულს საოცარ შედეგებს აღწევს. ჯერ იყო და ორჯერ გადახტა 18 მეტრზე შორს, მაგრამ რეკორდად არ ჩაუთვალეს — მეტისმეტად ძლიერი ნიავი ქროდაო. მერე ბრიტანელმა მაინც გაიტანა თავისი და ივლისის შუაწელში ერთი სანტიმეტრით მაინც გააუმჯობესა ამერიკელი ვილი ბენქსის ათი წლის წინანდელი მსოფლიო რეკორდი, აი, გეტებორგში კი, ორშაბათის თბილ საღამოს, ჯერ 18,16 მეტრზე გადახტა, მერე კი ამ ახალ რეკორდსაც გადაამეტა — 18,29. ბოლო ნახტომს კარგა ხანს ზომავდნენ. შედეგი რომ გამოაცხადეს, ედვარდსი მიწას ემთხვია. ეს კაცი რელიგიურობითაც ყოფილა ცნობილი: მავანი გამოჩენილი მორაგბეებისა არ იყოს, თურმე არც ჯონათანი ასპარეზობდა კვირაობით, აქაოდა დიდი ცოდვააო.

იმავ საღამოს დიდი გარბენი მოეწყო ქალთა სპრინტში: გვენ თორენსმა (აშშ) უკან მოიტოვა მერლინ ოთი (იამაიკა) და ირინა პრივალოვა (რუსეთი) და სეზონის საუკეთესო შედეგით (10,85) გაიმარჯვა, ამერიკელმა ათჭიდელმა დან ობრაიენმა კი ძველებურადვე აჯობა ბელარუს ედვარდ ჰიმალაინენს, თუმც ბოლო სახეობაში — 1500 მეტრზე რბენაში დიდი ვერაფერი შვილი ბრძანდება.



დან ო ბრაიენი

ორშაბათს ერთი მედალიც გათამაშდა: 18 წლის რუსმა გოგო ირინა სტანკინამ ფინიშამდე ცოტა რომ რჩებოდა სავალი, სტილის დაურღვევლად უმატა ტემპს და უკან მოიტოვა ელიზაბეტა პერონე (იტალია) და თანამემამულე ელენა ნიკოლაევა.

სამშაბათს მედალთაგან ხუთი სამეული გათამაშდა. მასპინძლები სიმაღლეზე ხტომაში პატრიკ შობერგისაგან, ვინც სამი ოლიმპიური მედლის მფლობელია, გამარჯვებას ელოდნენ. კუბას, რომელიც დღემდე ჩივის საერთაშორისო ფედერაციაში, ჩვენს ივან პედროსოს სიგრძეზე ხტომის მსოფლიო რეკორდს რად^არ უმტკიცებთო, ხავიერ სოტომაიორის იმედი ჰქონდა, მაგრამ ერთიცა და მეორეც ისევ დაამარცხა 29 წლის ბაჰამელმა თროი ქემფმა, რომელიც სოტომაიორის მსგავსად 237 სანტიმეტრზე ახტა, მაგრამ მთელს შეჯიბრში ნაკლები ცდა გამოიყენა. შობერგი მეექვსე ადგილზე დარჩა (232), მესამე კი პოლონელი არტურ პარტიკა იყო.

იმ საღამოს ეთიოპმა ჰაილე გაბრელსილასემ ამჯერადაც დაამტკიცა, რომ დღესდღეობით მსოფლიოს პირველი სტაიერია. ამ კაცმა 27.12,94-ში გაირბინა 10 კილომეტრი, რაც მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდია. მეორე ადგილზე გავიდა ვეტერანი ხალიდ სკაჰი (მაროკო), მესამეზე — კენიელი პოლ ტორგატი.

მძლეოსნობაში პირველი მსოფლიო ჩემპიონი გაიჩინეს დანიელებმა — 800 მეტრზე ვაჟთა რბენა მოიგო ექს-კენიელმა, აწ კი გავიკინგებულმა ვილსონ კიპკიტერმა, რომელმაც განაცხადა, ახალ ქვეყანას რომ დავსახლდი, ახალი ცხოვრება დავიწყეო. წრენახევარი წინ ვებიორნ როდალი (ნორვეგია) იყო, გამარჯვებულის დრო კი 1.45,08-ია, რაც სეზონის საუკეთესო ათეულშიც ვერ ხვდება.

ქალთა პროგრამაში გამოსაყოფია ფრანგი ზანგი ქალის, მარი-ჟოზე პერეკის სეზონის საუკეთესო შედეგი 400 მეტრზე რბენაში — 49,29 წამი. ოლიმპიურსა და მსოფლიო ჩემპიონს 400 მეტრზე თარჯრბენის მოგებაც სურდა, მაგრამ მცირე ტრავმის გამო დუბლის განზრახვაზე ხელი აიღო. შუბის ტყორცნაში ბელარუსმა ნატალია შიკოლენკომ პირველსავე ცდაზე 67,56 მეტრზე მოისროლა შუბი და მეტოქეები თავიდანვე დათრგუნა.

თუ პერეკი დუბლს შეელია, ამერიკელი მაიქლ ჯონსონი სხვაგვარ დუბლს ესწრფვის — 400 და 200 მეტრზე რბენების მოგება სურს. გუშინწინ ჯონსონმა მართლაც გაიმარჯვა ერთ წრეზე რბენაში, დღეს კი ნახევარ წრეზე პირველობასაც ეცდება. ჯონსონი ნახევარი დისტანციის შემდეგლა დაწინაურდა, მაგრამ ფინიშზე მთელი 7 მეტრით აჯობა ბუჩ რეინოლდსს, რომლის მსოფლიო რეკორდამდე წამის ერთი მეათედი დააკლდა. გამარჯვებულის შედეგია 43,39 წამი, იააფ-თან დოპინგებისა და ფულადი კომპენსაციების გამო სასამართლოებში ნაომარი რენოლდსისა კი — 44,22.

დღის მშვენება 1 500 მეტრზე ქალთა გარბენი იყო. მუსლიმი ფუნდამენტალისტები ალჟირელ ჰასიბა ბულმერქას მოკვლით დაემუქრნენ, ამან კი 150 მეტრი რომ რჩებოდა, აიწყვიტა, დისტანცია 4.02,42-ში გალია, მერე კი სიხარულისმიერი ისტერიკა მოაწყო.

10 ათას მეტრზე 5 ათასი მეტრის ახალმა მსოფლიო რეკორდსმენმა ფერნანდა რიბეირომ (პორტუგალია) გაიმარჯვა 31.04,99. იგი ბოლო რვა წრის განმავლობაში სულ წინ იყო. ეთიოპი თულუ რიბეიროს თითქმის ოთხი წამით ჩამორჩა, ვაჟთა ბირთვის კვრა კი ასევე პირველი ტყორცნით მოიგო 23 წლის ამერიკელმა ჯონ გოდინამ (21,47 მეტრი). მსოფლიო რეკორდსმენი რენდი ბარნსი (აშშ) 20,41 მეტრით მესამე ადგილზე დარჩა.

გაჩაღდა შვიდჭიდელ ქალთა შეჯიბრიც, რომელსაც უკვე გამოაკლდნენ ჯეკი ჯოსნერ-კერსი (აშშ), საბინე ბრაუნი და ჰაიკე დრექსლერი (ორივე — გერმანია). პირველი დღის მერე ლიდერობდა რუსი სვეტლანა მოსკალეცი.

# შუმახერს ჰილის ხასიათი აცოფებს



ინგლისის დიდი პრიზის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა „შპორტ-ბილდის“ მკითხველებს გულახდილად გაუმხილა, რა იყო მიზეზი მასსა და მის უმთავრეს კონკურენტ ინგლისელ დეიმონ ჰილს შორის ჩამოვარდნილი მტრობისა.

— საიდან დაიწყო თქვენი შუღლი?

— კურიოზული შემთხვევის შემდეგ. ის უცნაური კაცია, ერთ დღეს ნორმალურად გელაპარაკება, მეორე დღეს კი ისე ჩაგივლის, თითქოს არც გიცნობდეს. ჰილი ხასიათის ადამიანია, ხასიათის ადამიანებს კი მე ვერ ვუგებ. რაზეც მკითხეთ, რამდენიმე წლის წინ დაიწყო. ერთხელ თვითმფრინავით ვმგზავრობდით ერთად და ცხოვრების ავ-კარგზე ვბაასობდით. მაშინ ჰილი ჯერ კიდევ ტესტ-პილოტი იყო. მომდევნო შეხვედრის დროს, როცა ის უკვე ფორმულა 1-ის მძღოლი იყო, რატომღაც ველარ მიცნო. საოცრად გამიკვირდა. განა შეიძლება, ერთ დღეს მეგობრულად იყო, ხუთი დღის შემდეგ კი მან ზედაც არ შემოგხედოს.

— ამას წინათ ჰილმა განაცხადა, მიხაელ შუმახერზე უკეთესი ვარო...

— ეს მართლა თქვა? თუმცა ეს ჩემთვის სულერთია. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ჩახედოს მსოფლიოს ჩემპიონატის ცხრილს და თავად გამოიტანოს დასკვნა.

— ჰილმა „უილიამსს“ განუცხადა, ასეთი ტექნიკურად გაუმართავი მანქანით ჩემპიონატს ვერ მოვიგებო. ნუთუ, უკვე გარკვეულია მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობა?

— ჰილი ხედავს, როგორ უსხლტება ხელიდან ჩემპიონობის მოპოვების იმედი. მას თითქმის აღარანაირი შანსი აღარ დარჩა, გუნდში პირველი კაცის სტატუსიც არა აქვს, რაც მას დიდ პრობლემებს უქმნის.

— თქვენმა მომსახურე პერსონალმა სამჯერ აჯობა „უილიამსს“ ბენზინის ჩასხმასა და საბურავების გამოცვლაში. ხომ არ იცინიან თქვენები კონკურენტთა სიზანტის გამო.

— არავითარ შემთხვევაში. უბრალოდ, ჩვენი სტრატეგია უფრო მოქნილია.

— „უილიამსს“ ხშირ შემთხვევაში სისწრაფეც აკლია.

— მართალი გითხრათ, ამის თაობაზე საუბარი არ მსურს. არ მინდა მძინარე ძაღლები გავაღვიძო.

— ბოლო მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ალენ პროსტს „ბენეტონის“ უფროსობა სურს.

— ეს ჩემთვის სიახლეა. ჩემი აზრით, ჩვენი ახლანდელი ბოსი ფლავიო ბრიატორე გემის კაპიტნობიდან გადადგომას არ აპირებს. მეც ასე მგონია, რომ გამარჯვებული გუნდის შემადგენლობას არ ცვლიან.

თარგმნა ერეკლე კიკილაშვილმა

# აქეთური, იქითური

გუშინ ლოს-ანჯელესში გაჩაღდა წლის მეოთხე და ბოლო უმთავრესი საგოლფო შეჯიბრი — აშშ-ის პროფესიული ასოციაციის ჩემპიონატი. შეჯიბრში 150 კაცი ჩაება. მათგან 48 მოწინავე 50-ეულის წევრია. ძალიან ცნობილი მოთამაშეებიდან არ მონაწილეობს წლევანდელი ევროპული ტურის ლიდერი გერმანელი ბერნჰარდ ლანგერი, ვისაც მეუღლე ზური გაუჩნდება.

*

მონიკა სელეში ორშაბათიდან ჩაებმება კანადის ღია პირველობაში, რომელიც ტორონტოს ხისტ კორტებზე გაიმართება. ითამაშებენ გრაფი, სანჩეს-ვიკარიო, პირსი. მონიკა და შტეფი საზიაროდ — პირველ ნომრებად იქნებიან განთესილი. მას შემდეგ, რაც სელეში გრაფის მავანმა თაყვანისმცემელმა 1993 წლის აპრილში, ჰამბურგის ტურნირზე დანით დაჭრა, ექსიუგოსლავი, აწ კი ამერიკელი ჩოგბურთელი სარბიელს წელს, ივლისის ბოლოს დაუბრუნდა, როცა ატლანტიკ-სითიში საჩვენებელი თამაში მოუგო ნავრატილოვას.

*

გუშინვე, ნოთინგემის „თრენთ ბრიჯზე“ დაიწყებოდა ინგლისი — ვესტ-ინდოეთის მეხუთე საკრიკეტო ტესტი. სერიის ანგარიში საყაიმოა 2-2. მასპინძლებს აკლიათ ტაფელოსანი რობინ სმითი, სტუმრებს კი მისი კოლეგა ჯიმი ადამსი. ორივეს ყვრიმალი აქვს ჩამტვრეული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ერთი შეხედვით უწყინარი კრიკეტი ერთობ სახიფათო სპორტია.

*

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) კრიზისის მოგვარებას კარგი პირი გამოუჩნდა. მხარეები 8 აგვისტოს შეთანხმდნენ ფინანსურ საკითხებზე, მაგრამ რეგულარული სეზონი დროით რომ დაიწყოს, აუცილებელია, რომ შეთანხმება მოთამაშეთა კავშირმა მოიწონოს.

*

წინა უქმეებზე ელქჰარტ-ლეიკში უნდა გათამაშებულიყო მოტოციკლისტთა „აშშ-ის დიდი პრიზი“, მაგრამ მსოფლიო პირველობის ორგანიზატორებს შეჯიბრი ჯერ კიდევ აპრილში ამოუღიათ კალენდრიდან და 3 სექტემბერს, იმოლას (სან-მარინო) შეჯიბრით შეუცვლიათ. გუშინ კი გაირკვა, რომ ამ ტრასის მომზადება ვერ ესწრება, რითაც წლევანდელ პირველობას ერთი ეტაპი დააკლდება. ამრიგად, სეზონის ბოლომდე ოთხი რბოლაა დარჩენილი 500 კუბური სანტიმეტრის კლასში კი ერთი ავსტრალიელი მაიკ დუენი („ჰონდა“) 15 ქულას უგებს მეორე ავსტრალიელ დარელ ბითის („სუძუკი“).

*

ავსტრალიის ნაკრებისა და ქვინზლენდის შუამარბმა, 25 წლის ჯეისონ ლიტლმა, ვისაც ლიგის რაგბის სვავები წელიწადში მილიონ ავსტრალიურ დოლარად თავიანთ სპორტში ეპატიჟებოდნენ, ოთხშაბათს ხელი მოაწერა სამწლიან კონტრაქტს თავისი ქვეყნის რაგბის კავშირთან, რითაც არა მარტო ლიგას განუდგა, არამედ პეკერის მიერ შექმნილ „რაგბის კორპორაციასაც“, მსოფლიოს 900 მორაგბის გადაბირებას რომ ცდილობს.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29